# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.




დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 9 ნოემბერი, 2012 წელი.

№216 (7092)





ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## უკანონოდ დაჯარიმებულები მოგელაძის და ბექაშვილის დასჯას ითხოვენ

5

## არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი დახურვას გადაურჩა

4

## ფაქტები გნებავთ? ინებეთ, ნაცმოელებო!

3

## „სახლში მაქვს ლამპა შემონახული და ხომ არ გავუგზავნო პრეზიდენტს?“

7

## მინდა, სამართალმა კიდევ ერთხელ ჭამოს პური

9

## ამაგდარი ექიმი ბაბუის შვილიშვილობა ინდულგენცია სულაც არ არის!..

2

## ბურთი ახლა რუსეთის მოედანზეა...

8

## ილია მეორე: შევთხოვოთ უფალს, ილია მართლის ლოცვა შეეწიოს სრულიად საქართველოს

**საგურამოში ილიაობა და ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 175 წლის იუბილე აღნიშნა.**

საიუბილეო ღონისძიებებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ესწრებოდა. როგორც უწმინდესმა ბრძანა, საქართველოში დიდი ეროვნული დღესასწაულია.



**„დაბადებიდან 175 წელი შეუსრულდა დიდ ილია მართალს, ილია ჭავჭავაძეს. სახელი ილია მნიშვნელოვანია და ამ სახელში ღმერთი ორჯერ არის მოხსენიებული, ელიახვე — უფალი ღმერთი ჩემი და სწორედ ღმერთის სიყვარულით ცხოვრობდა ილია მართალი, ის იყო ღმერთთან და ღმერთი იყო მასთან. როდესაც მე შემოქმედელი ეპისკოპოსი ვიყავი,**



**ვიცნობდი დიმიტრი ჯაშს, რომლისგანაც ბევრი რამ მსმენია ილია ჭავჭავაძის ღვაწლის შესახებ. მან ბევრი განსაცდელი გამოიარა, მაგრამ იდგა მტკიცედ. ის იყო უგვირგვინო მეფე და სულიერი მამა საქართველოსი. როცა საქართველოს პოლიტიკური თავისუფლება და ავტოკეფალია დაკარგული ჰქონდა, ილია მართალი ერისა და ქვეყნის წინაშე ბევრს აკეთებდა, რათა საქართველოს სახელი არ გამქრალიყო. შევთხოვოთ უფალს, ილია მართლის ლოცვა შეეწიოს სრულიად საქართველოს“,** — აღნიშნა უწმინდესმა და უნეტარესმა.

საგურამოში იმყოფება საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილიც.

* * *

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი საგურამოში ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის თანამშრომლებმა და დირექტორმა ანდრო ბედუკაძემ ილია ჭავჭავაძის მედლით დააჯილდოვეს.**



**„ილია ჭავჭავაძე ერის მამად იწოდება, არ უნდა დაიკარგოს მისი ღვაწლი. მისი მკვლელობიდან 105 წელი შესრულდა და თუ გადავხედავთ ჩვენი ქვეყნის წარსულს, რაც ქვეყანაში ცუდი ხდებოდა, სწორედ ამის გამოც ვიხდიდით სასჯელს. მან მთელი თავისი ცხოვრება შეალია ერის და ქვეყნის კეთილდღეობაზე ფიქრს და ზრუნვას. ის ზრუნავდა საზოგადოების ჩამოყალიბებაზე, სახელმწიფოებრიობის განმტკიცებასა და სამართლიანობაზე. დადგა დრო, რომ ილია ჭავჭავაძის ნაოცნებარი ავახდინოთ, აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია — ეს ილია ჭავჭავაძის სიტყვებია და სწორედაც, რაზეც ილია ჭავჭავაძე ოცნებობდა, ის უნდა შევასრულოთ, რათა საქართველო დადგეს ევროპული ქვეყნების რიგში“,** — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

* * *

**ხელოვანები პრემიებით, მედლებით და ილია ჭავჭავაძის ექვსტომეულით დაჯილდოვდნენ.**

ქართულ ხელოვნებასა და კულტურაში შეტანილი წვლილისთვის, საგურამოში ხელოვანები დაჯილდოვდნენ. ილია ჭავჭავაძის პრემიები პოეტ **ეთერ თათარაიძეს,** პოეტ **ვახტანგ ჯავახაძეს,** მწერალ **ირაკლი სამსონაძეს,** მწერალ **გივი შახნაზარს,** კრიტიკოსს **თამაზ ვასაძეს,** ხელოვნებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის მსახიობ **გოგი ხარაბაძეს,** ჰუმანიტარულ მეცნიერებაში შეტანილი წვლილისთვის **გიორგი გოგოლაშვილს** გადაეცათ.

მედლები **ვახტანგ ჯავახაძემ** და საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ბიძინა ივანიშვილმა** მიიღეს.

საიუბილეო საღამო მუსიკალურად სიმებიანმა კვარტეტმა და ანსამბლმა „ქართულმა ხმებმა“ გააფორმეს.

**ინტერპრესნიუსი**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**ინფორმაცია**

## ბაჩო ახალაიას ბრალი ორი მუხლით წაუყენეს

**ბაჩო ახალაიას ბრალი ოფიციალურად 2 მუხლით წაუყენეს — 333-ე მუხლის მესამე პუნქტი უფლებამოსილების გადამეტებას, ხოლო 145-ე მუხლი თავისუფლების უკანონოდ აღკვეთას ითვალისწინებს.**

ახალაიას ადვოკატის ბაჩუკი ყურაშვილის განცხადებით, მეორე ბრალდება საკმაოდ მძიმეა და, როგორც მას განუმარტეს, ერთ-ერთ რესტორანში მომხდარ ინციდენტს უკავშირდება, თუმცა ადვოკატის განცხადებით, საქმე შესწავლილი ჯერ არ აქვს და დეტალურ ინფორმაციაზე საუბარი ამ ეტაპზე არ შეუძლია.

## გიორგი კალანდაძეს ბრალი წაუყენეს

**გაერთიანებული შტაბის ყოფილ ხელმძღვანელს ბრალად სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება წაუყენეს.** როგორც ჟურნალისტებთან კალანდაძის ადვოკატმა გოგიტა გაბაიძემ განაცხადა, დაკავებულს ბრალი სისხლის სამართლის 333-ე მუხლის მესამე ნაწილით წაუყენეს, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს.

ადვოკატის განცხადებით, გიორგი კალანდაძე წაყენებულ ბრალს არ აღიარებს.

## დასაკავებელი უნდა დავაკავოთ

**— ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს ნატოში ინტეგრაციის კოორდინაციის სახელმწიფო კომისიის სხდომის შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განუცხადა.** მისი თქმით, არ ფიქრობს, რომ ახალაიას, კალანდაძისა და შამათავას დაკავება საქართველოს ნატოსთან ურთიერთობას ხელს შეუშლის, როგორც ამას საპარლამენტო უმცირესობა ამბობს.

**სარედაქციო ფოსტიდან**

# ამაგდარი ექიმი ბაბუის შვილიშვილობა ინდულგენცია სულაც არ არის!..

**იყო შუა საუკუნეებში ასეთი ცოდვების მიტევების სიგელი — ინდულგენცია, რომელსაც კათოლიკური ეკლესია რომის პაპის სახელით იძლეოდა განსაკუთრებული დამსახურებისთვის, უფრო ხშირად კი ყიდდა.**

ჩვენს შემთხვევაში არ ვიცი, რა დამსახურებისთვის თუ რა ფასად გასცა ჟურნალისტმა ზაზა დავითაიამ ეს ეგრეთ წოდებული ინდულგენცია თბილისის პროკურორის მოადგილის, საგამოძიებო ნაწილის უფროსის ვახტანგ იაშვილის სახელზე, რომელიც თურმე ახლა გაზეთ „ასავალ-დასავალის" ცხელი ხაზით გახმოვანებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით, პატიმართა წამების გახმაურებულ საქმეებს იძიებს და უკვე აქვს გარკვეული შედეგები (SIC!)...

ეს ის ჟურნალისტი ზაზა დავითაიაა, ვინც „ასავალ-დასავალის" წინა ნომერში გლდანის ციხის „ჯალათ" თანამშრომელთა სრული სია (მისამართების ჩვენებით) გამოაქვეყნა, რასაც გარკვეული საზოგადოებრივი წინააღმდეგობა მოჰყვა. თუმცა ბევრმა ერთგვარ ჟურნალისტურ გამბედაობად ჩაუთვალა გაზეთსაც და თვითონ ჟურნალისტსაც ეს, როგორც იტყვიან, ღდინამდე ჩამყოლი პუბლიკაცია.

და უცებ ეს ჩვენი გაბედული და საზოგადოებრივად უთუოდ სწორად აღშფოთებული ასავალდასავლელი აშკარად საეჭვო საქციელს უწონებს ციხის დანაშაულთა მიმართ თავის დროზე „თვალდახუჭულ" ერთ-ერთ პასუხისმგებელ პროკურორს და ნამუსის მოსაწმენდად ცოდვების მიტევების სიგელის ასეთ ტექსტს გვთავაზობს: ახალი ხელისუფლება ახალ კადრებს აკომპლექტებსო. შევიტყვეთ, რომ სხვადასხვა რანგის პროკურორებმა ანგარიში გაუწიეს რეალობას და თანამდებობის დატოვების შესახებ განცხადებები საკუთარი ნებით დაწერესო. ასე მოიქცა ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი ვახტანგ იაშვილიცო. მის მიერ დაწყებული და უკვე გარკვეულ კონდიციამდე მიყვანილი საქმეები აუცილებლად უნდა გაიხსნას, თუმცა, თუ მათ სხვა პროკურორი გადაიბარებს, ბუნებრივია, გახსნის პროცესი დროში გაჭიანურდება, ვიდრე ამ საქმეებს იგი ჯერ შეისწავლის და მერე დასასრულისკენ წაიყვანსო. ამასობაში კი მოსალოდნელია, დანაშაულში მხილებულმა პირებმა მიმალვა მოასწრონ და კანონიერი სასჯელი თავიდან აირიდონო (ხედავთ, როგორ გვაშინებს ჟურნალისტი?!). **სწორედ ამის გამო, ჩვენ მოკრძალებული თხოვნით მივმართავთ ახალ მთავარ პროკურორს, ბატონ არჩილ კბილაშვილს, რომ ის პროკურორები, რომლებიც წამების ფაქტებს იკვლევენ, პოსტებზე დატოვოს და საქმეების წარმატებით გახსნაში ყოველნაირად შეუწყოს ხელიო.** დასასრულ, მკითხველს უნდა ვაცნობოთ, რომ ვახტანგ იაშვილი ამაგდარი ექიმის, ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის — ვახტანგ ბოჭორიშვილის შვილიშვილი ბრძანდება, რაც ქართველი საზოგადოებისთვის ერთგვარი გარანტია, რომ ეს კაცი არც სახელოვანი ბაბუის ხსოვნას და არც საკუთარ ავტორიტეტს არ შეარცხვენსო!..




**არადა, ამ ამაგდარი ექიმის, ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის შვილიშვილმა უკვე არაერთხელ მოასწრო როგორც ბაბუის ხსოვნის, ისე საკუთარი თავის შერცხვენაც!**

ჯერ იყო და ამ შვილიშვილმა რის ვაივაგლახით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მამამისის მეგობართაგან შეწუხებული იყო ცხონებული გივი ინწკირველი!), მერე „ვარდების რევოლუციამ", როგორც ამერიკამოვლილი (სულაც იქ არასწავლამიღებული!) ქალაქის ერთ-ერთ პროკურორად დააწინაურა (ნაციონალთა ახალგაზრდა კადრი!). ნაცთა ზეობის განმავლობაში ჩადენილ მისატევებელ ცოდვათაგან (უფრო სწორად, მიუტევებელ ცოდვათაგან!) თუნდაც ერთ მაგალითს გავიხსენებ.

მამამისის ერთ-ერთი მეგობარი ჟურნალისტი ცნობილი ბიზნესმენის ალექსანდრე ებრალიძის თაოსნობით გამართულ მსოფლიოს ხალხთა კონგრესს დაესწრო პეტერბურგში. თბილისში დაბრუნებულ ამ ჟურნალისტს მალე ქალაქის პროკურატურაში უხმეს. „მხმობელი" გელა ბარამიშვილი სწორედაც სახელოვანი ბაბუის არასახელოვანი შვილიშვილის ვახტანგ იაშვილის დავალებით რეკავდა...

პროკურატურაში საღამოს 6 საათზე მისული ასაკოვანი ჟურნალისტი დილის 3 საათამდე აყურყუტეს. პეტერბურგი არ უხსენებიათ, სულ სხვა რამ მოგონილი მიზეზის გამო დააწერინეს ახსნა-განმარტება და ხელწერილიც ჩამოართვეს, ჩვენი ნებართვის გარეშე ამიერიდან თბილისს ვერ დატოვებო.

სახელოვანი ბაბუის არასახელოვანმა შვილიშვილმა პირადად ლაპარაკიც არ ისურვა მამის ძველ მეგობართან და მხოლოდ გამომძიებელ გელა ბარამიშვილის საშუალებით „ეპროკურორებოდა" რაღაც აბსტრაქტულ „დანაშაულზე", ანუ ნაციონალთათვის არასასურველ ღონისძიებაში არასასურველ მონაწილეობაზე, რაც თითქმის სამშობლოს ღალატს ეტოლფასებოდა.

**რაც შეეხება ერთ ჭიქა წყალს, რომელიც ცხრასაათიანი ყურყუტის შემდეგ გულშეღონებულმა ხნიერმა ჟურნალისტმა ითხოვა, თბილისის პროკურატურაში არ აღმოჩნდა.**

აი ასეთი სახელოვანი ბაბუის არასახელოვანი შვილიშვილისთვის სთხოვს „ასავალდასავლელი" ჟურნალისტი საქართველოს ახალ მთავარ პროკურორს მფარველი კალთის გადაფარებას.

**ვითომ ამდაგვარი შვილიშვილი „ქართველი საზოგადოებისთვის ერთგვარი გარანტია, რომ ეს კაცი არც სახელოვანი ბაბუის ხსოვნას და არც საკუთარ ავტორიტეტს არ შეარცხვენს?!"**

**ნუგზარ გამყრელიძე,**
**ვეტერანი ჟურნალისტი**

**გვეხმაურებიან**

# აშკარად მისასალმებელი სახელმწიფოებრივი პოზიცია

**პატივცემულო რედაქცია, ყურადღებით გავეცანი თქვენი გაზეთის 3 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუს ბატონ პაატა ზაქარეიშვილთან „ეს აფხაზეთის დეიზოლაციის ჩვენი სტრატეგიის ნაწილია", რომლის გამოც მინდა გაგიზიაროთ ჩემი პოზიცია და შეხედულებები.**

მასში ნათლად არის წარმოჩენილი ახალი მთავრობის რეალური პრაქტიკული და განსახორციელებელი გზები, რომელთა ხორცშესხმა აუცილებელია აფხაზეთთან და ოსეთთან დაკავშირებული კონფლიქტების ეტაპობრივად მოწესრიგებისთვის.

მისასალმებელია ბატონი პაატას ხედვა, განწყობა და რწმენა იმისა, რომ ხელი უნდა შევუწყოთ აფხაზეთის გავლით როგორც სარკინიგზო, ისე საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობას. მე პირადად მოკრძალებით, კეთილმოსურნე რეკომენდაციით, დავამატებდი საავიაციო და საზღვაო ტრანსპორტს, კავშირგაბმულობას, სამედიცინო და სავაჭრო მომსახურებასაც. ეს აუცილებელია, რადგან საბოლოო ჯამში, ეკონომიკური კავშირურთიერთობების აღდგენა ხელს შეუწყობს აფხაზეთის ეკონომიკის განვითარებას და, რაც ჩვენთვის ყველაზე ღირებულია, ამ დარგებში დასაქმებული ადამიანების დაახლოებას. და არა მარტო დასაქმებული ადამიანებისა...

და მართლაც, ამ ეტაპზე საჭიროა, გამოირიცხოს პოლიტიკური სარჩული და განვიხილოთ მხოლოდ ეკონომიკური მიმართულებები, როგორც ამას აღნიშნავს რეინტეგრაციის მინისტრი. ათ წელზე მეტია, ხელისუფლებისა და მედიასაშუალებების წარმომადგენელთა მსგავსი პოზიცია და განცხადება არ მომისმენია.

ასევე განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ბატონ ზურაბ აბაშიძის წარმომადგენლად დანიშვნა რუსეთში და, საერთოდ, ახალი მინისტრთა კაბინეტისა და მისი ხელმძღვანელის ღრმად გააზრებული, პროფესიონალური, სამართლიანი პოლიტიკა.

ღრმადა ვარ დარწმუნებული, ასეთი სწორი ტექნოკრატიული, ეკონომიკური გადაწყვეტილებებით, მიდგომებით და პოზიციებით დაიწყება და განვითარდება აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიმართ ჩვენი ქვეყნის შეუქცევადი სტრატეგია.

**პეტრე ბერაია,**
**ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი**

**პროტესტი**

# ყვითელი ავტობუსების მძღოლების გაფიცვა სწორედაც რევანშია ძველი ხელისუფლებისადმი

**8 ნოემბერს გაიფიცნენ თბილისის ყვითელი ავტობუსების მძღოლები. ისინი ხელფასის ზრდას და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას ითხოვენ.**

**„საუბარი არ არის მხოლოდ ხელფასის ზრდაზე, საუბარია იმ პირობებზე, რაც ავტობუსების მძღოლებს აქვთ. ეს არის სამუშაო დრო და მაღალი ჯარიმები. ძალიან რთული წესების დაცვაა საჭირო იმისთვის, რომ ჯარიმა არ მიიღო. მათ ხელფასის ძალიან მცირე ნაწილი მიაქვთ ხოლმე სახლში. საუბარი იმაზე, ხელფასის 200%-ით ზრდას ითხოვენო, სიმართლეს არ შეესაბამება",** — განუცხადა from.ge-ს საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარემ ირაკლი პეტრიაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, თბილისის მერიის სატრანსპორტო კომპანია მძღოლების მიერ წარდგენილი 17 პუნქტიდან 15-ის შესრულებას თანხმდება, თუმცა ეს არ უნდა დარჩეს მხოლოდ მოლაპარაკების დონეზე და ხელშეკრულებაში უნდა გაიწეროს.

**„მძღოლს უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ ეს მხოლოდ შეპირება არ არის და თბილისის მერიის სატრანსპორტო კომპანია დაპირებას ხვალ უკან არ წაიღებს",** — განაცხადა პეტრიაშვილმა.

მისივე თქმით, მძღოლების გუშინდელი გაფიცვა მხოლოდ გამაფრთხილებელია და ისინი მალე სამუშაო ადგილებს დაუბრუნდებიან.

ამასთან, როგორც პეტრიაშვილმა აღნიშნა, თუ თბილისის მერიის მხრიდან გაფიცვას ადეკვატური რეაგირება არ მოყვება, თბილისის მოსახლეობა დაზარალდება.

რაც შეეხება საბოტაჟის ნიშნებსა და მასში პროფკავშირების მონაწილეობას, პეტრიაშვილი ამ ბრალდებას უარყოფს და აცხადებს, რომ გაფიცვა მიმართულია არა ახალი ხელისუფლების, არამედ თბილისის მერიის წინააღმდეგ.



**გაფიცვა.**
**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**For.ge-ს პრესკლუბის სტუმარი ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე იყო, რომელმაც მთავარ პროკურატურაში რამდენიმე საქმესთან დაკავშირებით საჩივარი შეიტანა და წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნების მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება მოითხოვა. ხაჭაპურიძე აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში არა როგორც „ქართული ოცნების" წარმომადგენელი და პოლიტიკოსი აკეთებს განცხადებას, არამედ როგორც ადვოკატი და პროკურატურაშიც მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირების საქმეებთან დაკავშირებით შეაქვს საჩივრები. ამასთანავე, იგი განმარტავს, რომ ამ საჩივრების შეტანით უპასუხებს საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელ გოკა გაბაშვილს, რომელმაც მმართველი ძალისგან წინა ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ გაჟღერებული ბრალდებების მტკიცებულებებით გამყარება მოითხოვა. ხაჭაპურიძის განცხადებით, სწორედ ასეთი მტკიცებულებები წარუდგინა მთავარ პროკურატურას.**

შალვა ხაჭაპურიძემ რამდენიმე საქმის შესახებ ინფორმაცია გააცნო ქართულ საზოგადოებას და აღნიშნა, რომ კიდევ რამდენიმე პრესკონფერენციას მოაწყობს, სადაც კიდევ ბევრ საქმესთან დაკავშირებით ისაუბრებს. პირველი, რაზეც ხაჭაპურიძემ ისაუბრა, ეს არის 26 მაისის დარბევასთან დაკავშირებით ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნა. კერძოდ, ადვოკატი აცხადებს, რომ იმ პერიოდში პარტიას „კანონი და სამართლიანობა" ხელმძღვანელობდა და 26 მაისის ღამეს მას, მის მეუღლეს და ამ პარტიის სხვა წევრებს სასტიკად გაუსწორდნენ. ხაჭაპურიძე ამბობს, რომ ეს არ იყო აქციის დარბევა, ვინაიდან აქციის მონაწილეები ალყაში მოაქციეს, რკინის ხელკეტებით სცემეს და როდესაც უკვე მკვდრები ეგონათ, ქუჩაში დაყარეს.

**„გარდა ამისა, ორიოდე დღის წინათ ერთ-ერთი ტელეკომპანიის ეთერში გავიდა სიუჟეტი, სადაც 26 მაისს გარდაცვლილთა ოჯახის წევრები მათზე ხელისუფლების მხრიდან განხორციელებულ ზეწოლაზე საუბრობენ. ასევე გააჩუმეს მაშინ იმ მაღაზიის გამყიდველი, რომლის თავზეც ორი გვამი იქნა დაგდებული. მინდა გითხრათ, რომ ამ ფაქტს შევესწარით მე და გაზეთ „ასავალ-დასავალის" კორესპონდენტი ჯაბა ხუბუა, რომელმაც მაღაზიის თავზე გვამების დაყრის პროცესის ფოტოებიც გადაიღო. ამას შეესწრო ასევე ერთ-ერთი ჩვენი თანამებრძოლი, ილია ხუსკივაძე",** — ამბობს შალვა ხაჭაპურიძე.

აქედან გამომდინარე, იგი მთავარ პროკურორს მიმართავს, დაიწყოს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით, რომელთა შორის არის განზრახ მკვლელობა, უკანონო ფორმირების შექმნა, რაც ხაჭაპურიძის განცხადებით, ბადრი ბასიშვილის ზონდერბრიგადას ეხება, ასევე მიცვალებულებისადმი უპატივცემულობა, ყალბი ექსპერტიზის გაცემა, რაც ხაჭაპურიძის განცხადებით ეხება იმ ექსპერტს, რომელმაც დაწერა, რომ მაღაზიის სახურავზე ნაპოვნი ადამიანები დენის დარტყმის შედეგად დაიღუპნენ და ა.შ. **ადვოკატი ხაჭაპურიძე ითხოვს, ამ მუხლებით პასუხისგებაში მიეცნენ აქციის დარბევის ბრძანების გამცემები — საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, მაშინდელი იუსტიციის მინისტრი ზურაბ ადეიშვილი და შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი, ასევე უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია, თბილისის მერი გიგი უგულავა, ყოფილი მთავარი პროკურორი მურთაზ ზოდელავა, ძმები ახალაიები, საპატრულო პოლიციის უფროსი გიგა გრიგალაშვილი, დარბევაში მონაწილე პოლიციის ყველა თანამშრომელი, პარლამენტარი ბადრი ბასიშვილი და მისი ზონდერბრიგადის წევრები, ასევე სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტები და სხვა პირები, რომელთა ბრალეულობაც გამოძიების დროს გამოიკვეთება.**

მეორე საქმე ეხება ფოთის ყოფილი მერის დავით ქანთარიას ორჯერ უკანონოდ დაპატიმრებას და მის პოლიტიკური ნიშნით დევნას. ხაჭაპურიძე აღნიშნავს, რომ დავით ქანთარიამ „ვარდების რევოლუციის" დღესვე პროტესტის ნიშნად დატოვა ფოთის მერის თანამდებობა და იმ დღიდან მაშინდელმა სამხარეო პროკურორმა როლანდ ახალაიამ დაიწყო ქანთარიას დევნა პოლიტიკური მოტივით. დავით ქანთარია ორჯერ დააპატიმრეს და ორივეჯერ კონკრეტული თანხის გადახდის სანაცვლოდ საპროცესო გარიგებით გაათავისუფლეს. მეორედ ქანთარია ირაკლი ოქრუაშვილის პარტიაში გაწევრებისა და ამ პარტიისთვის სამეგრელოში რეგიონული ორგანიზაციების შექმნის გამო დააპატიმრეს. ადვოკატის განცხადებით, დავით ქანთარიას მეორედ დაპატიმრებაში დათა ახალაია და გია დგებუაძე (მასტერა) მონაწილეობდნენ, რისი უფლებაც მათ არ ჰქონდათ, რადგან გირგვლიანის მკვლელობის გამო იმ პერიოდში ორივეს უფლებამოსილება ჰქონდა შეწყვეტილი. ამიტომ ხაჭაპურიძე ასკვნის, რომ მათ პრაქტიკულად, როგორც რიგითმა მოქალაქეებმა, დააკავეს დავით ქანთარია.

**„ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს კონკრეტული პიროვნების ნუგზარ ჯიხაიას ახსნა-განმარტება, სადაც ეს ადამიანი პირდაპირ აღწერს, როგორ დაიბარა იგი როლანდ ახალაიამ და დავით ქანთარიას საწინააღმდეგო ჩვენების მიცემას აიძულებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში კი დაპატიმრებით ემუქრებოდა და იგი მართლაც დააპატიმრეს, რადგან მან ეს ჩვენება არ მისცა. გარდა ამისა, მთავარ პროკურატურას მივმართავთ თხოვნით, გამონახოს სამართლებრივი მექანიზმები, რათა ქანთარიას მიმართ წარმოებული ორივე საქმე გადაიხედოს და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დადგეს. ამასთანავე, მის მიმართ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე ვითხოვ სამართლებრივი დევნის დაწყებას პარლამენტარ როლანდ ახალაიას, მისი შვილის, დათა ახლაიას, ასევე გია დგებუაძის და ამ საქმეში უკანონობის ჩამდენი სხვა პირების მიმართ",** — აღნიშნავს შალვა ხაჭაპურიძე.

აქვე იგი განმარტავს, რომ დავით ქანთარიას მიმართ წარდგენილი ბრალდების ერთ-ერთი ეპიზოდი ისეთ პერიოდს ეხება, როდესაც ქანთარია ფოთში ჯერ არც კი მუშაობდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, სასამართლომ ეს ბრალდება უაპელაციოდ გაიზიარა.

**კიდევ ერთი საჩივარი, რომელიც დღეს მთავარ პროკურატურაში შევიდა, პარლამენტარ დავით ბეჟუაშვილს ეხება. ადვოკატ ხაჭაპურიძის განცხადებით, კონკრეტული მოქალაქე დავით მხეიძე აღწერს, დავით ბეჟუაშვილმა და მისმა სიმამარმა როგორ წაართვეს მხეიძეს კასპში არსებული ცემენტის ქარხანა.** ადვოკატი აცხადებს, რომ არსებობს მოწმე (რომლის ვინაობასაც ის არ ასახელებს, თუმცა პროკურატურაში შეტანილ საჩივარში ის დაფიქსირებულია), რომელიც მთლიანად შიფრავს იმ სქემებს, თუ როგორ ართმევდა ბეჟუაშვილი ბიზნესებს სხვადასხვა პირებს. კერძოდ, როგორ ჩაიგდო მან ხელში კასპის და რუსთავის ცემენტის ქარხნები, ასევე სს „საქართველოს ცემენტი" და ა.შ. ასევე, როგორ ხდებოდა ხელოვნურად სახელმწიფო კომპანიების გაკოტრება, ბეჟუაშვილს სად ექნება გახსნილი ოფშორული კომპანიები, არსებობს ამ ოფშორული კომპანიების ანგარიშებიც და ყველაფერ ამის გამო ადვოკატი ამ მოწმის მოწმეთა დაცვის პროგრამაში ჩასმას ითხოვს, რადგან არ არის გამორიცხული, ბეჟუაშვილმა ამ ადამიანის ლიკვიდაცია განახორციელოს. აქვე ხაჭაპურიძე აცხადებს, მას აქვს ინფორმაცია, რომ დავით ბეჟუაშვილს რამდენიმე წლის წინათ ადამიანის მკვლელობაში ედებოდა ბრალი, რის შესახებაც იგი ინფორმაციებს აგროვებს და ამ მასალების წარმოდგენას ქართულ საზოგადოებას უახლოეს დღეებში დაჰპირდა. ცემენტის ბიზნესის საქმესთან დაკავშირებით ადვოკატი ითხოვს განცხადების წარმდგენი პირის დავით მხეიძის დაკითხვას და სისხლის სამართლის საქმის აღძვრას.

## ფაქტები გნებავთ? ინებეთ, ნაცმოელებო!

**შალვა ხაჭაპურიძეს მიხეილ სააკაშვილის, ვანო მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის და ძმები ახალაიების მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მიაჩნია საჭიროდ**



**შემდეგი საჩივარი პარლამენტის წევრ დავით საყვარელიძეს ეხება (შეგახსენებთ, დეპუტატად არჩევამდე დავით საყვარელიძე მთავარი პროკურორის მოადგილე იყო). საჩივარს თან ახლავს პატიმარ დავით ჯინჭარაძის განცხადება, რომელშიც დეტალურად აღწერს, როგორ გამოსძალეს დავით საყვარელიძემ და სხვა თანამდებობის პირებმა 70 000 დოლარი პოლიტპატიმარ ბესარიონ ხვინთელიანის საქმეზე.** ხაჭაპურიძის განცხადებით, ამ საქმეში ჩართული არიან თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამია ფხაკაძე, მოსამართლე მერაბ ჯორბენაძე და პროკურატურისა და პოლიციის მაღალჩინოსნები, რომლებიც იმ პერიოდში პოლიტპატიმარ ბესარიონ ხვინთელიანის „განკულაკებას" აწარმოებდნენ.

**კიდევ ერთი საჩივარი მეწარმე მერაბ ტყეშელაშვილის საქმეს ეხება. ადვოკატის განცხადებით, ტყეშელაშვილმა სასჯელაღსრულების სამინისტროსგან მიიღო შეკვეთა, რომ გეგუთის კოლონია სხვადასხვა ნივთებით მოემარაგებინა. ტყეშელაშვილმა ბაჩო ახალაიას და მისი წარმომადგენლის მეშვეობით „ნისიად" აიღო მასალები, შეასრულა ეს სამუშაოები, კოლონიაში მასალები მიიტანა, მაგრამ იმ ფირმამ, რომელიც ბაჩო ახალაიასა და მას შორის შუამავლის როლს ასრულებდა, ტყეშელაშვილს თანხა აღარ გადაუხადა, ხოლო ფირმის დირექტორმა განაცხადა, რომ ეს ფული (200 ათასი ლარი) ბაჩო ახალაიამ მისი სეიფიდან გაიტაცა.** შალვა ხაჭაპურიძე ბაჩო ახალაიას მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას და სხვა დამნაშავე პირების დადგენას ითხოვს.

გარდა ამისა, შალვა ხაჭაპურიძე აცხადებს, რომ მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს, როდესაც მურთაზ ზოდელავა ჯერ კიდევ მთავარი პროკურორი იყო, მან მთავარ პროკურატურას მიმართა და ითხოვდა საქმის აღძვრას თეთრიწყაროს რაიონის ორ მოსამართლეზე, რომლებმაც, მისი თქმით, არჩევნები გააყალბეს, ასევე დავით ბეჟუაშვილზე, ვინაიდან არსებობენ ადამიანები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ბეჟუაშვილმა მისთვის ხმის მიცემის სანაცვლოდ მათ ფული გადასცა.

**„წარდგენილი გვქონდა განცხადებები დავით ბეჟუაშვილისა და ერეკლე კოდუას მიმართ. დაპატიმრებულია მოქალაქე მერაბ კალანდაძე, რომელიც საქართველოში ბუნებრივი აირის ბიზნესის დიდ ნაწილს ფლობდა. დაახლოებით სამი წლის წინათ ამ პიროვნებას დავით ბეჟუაშვილი დაუკავშირდა, შეიარაღებულმა კაბინეტში მიაკითხა და გაზის ბიზნესის მისთვის გადაფორმება მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო. მეორე დღესვე მერაბ კალანდაძე ნარკოტიკებისა და იარაღის უკანონოდ შენახვის ბრალდებით დააპატიმრეს, მთელი მისი ბიზნესის დიდი ნაწილი ბეჟუაშვილზე გადააფორმებინეს (ამ ბიზნესის ღირებულება დაახლოებით 50-იდან 70-მდე მილიონ დოლარს შეადგენდა) და იმავე დღეს გამოუშვეს. მეორე ნაწილი უკვე დაპატიმრების მუქარით გადააფორმებინეს. ამის შემდეგ კალანდაძემ მაინც მოახერხა და ორი-სამი გაზგასამართი სადგურის მშენებლობა დაიწყო, რის შემდეგაც მას ერთ-ერთ რესტორანში პროვოკაცია მოუწყვეს და დღეს იგი პატიმარია",** — ამბობს შალვა ხაჭაპურიძე.

მისი თქმით, ამ საქმესთან დაკავშირებით კონკრეტული პირები დეტალურად ყვებიან, სად და როგორ მოხდა ამ ბიზნესების გადაფორმება და კალანდაძისთვის წართმევა. ადვოკატი ამბობს, რომ, მართალია, საჩივარი მთავარ პროკურატურაში 8 ოქტომბერს შევიდა, მაგრამ დღემდე იქიდან არანაირი გამოხმაურება არ ყოფილა. მისივე თქმით, საჩივარში საუბარია თეთრიწყაროს რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე გია მესტვირიშვილზე, ასევე ერთ-ერთ პიროვნებაზე, რომელსაც ბეჟუაშვილის წარმომადგენლებმა არჩევნებში დახმარება სთხოვეს, მაგრამ ვინაიდან ეს ადამიანი მათ არ დაეხმარა, მისი შვილი დააპატიმრეს. შალვა ხაჭაპურიძე მთავარ პროკურორ არჩილ კბილაშვილს სთხოვს, ამ საქმეების განხილვა დააჩქაროს, ასევე ყოფილი მთავარი პროკურორის მურთაზ ზოდელავას პასუხისმგებლობის საკითხი დასვას, რადგან მან საქმის წარმოებაში მიღება გააჭიანურა.

კიდევ ერთი საჩივარი, რომელიც მთავარ პროკურატურაში შეიტანეს, თურქ ბიზნესმენ ადნარ აქიარს ეხება. ხაჭაპურიძის განცხადებით, ამ ადამიანს საქართველოში სატრანსპორტო ბიზნესი ჰქონდა, რა დროსაც მაშინდელი ფინანსური პოლიციის უფროსი დავით კეზერაშვილი დაუკავშირდა და უთხრა, რომ მის ბიზნესს „დაკრიშავდა" და ამასთანავე, „ტოიოტას" ცენტრში მანქანის ყიდვა მოსთხოვა. ადნარ აქიარმა ჩათვალა, რომ საუბარი იყო ერთ მანქანაზე, მივიდა „ტოიოტას" ცენტრში და აღმოჩნდა, რომ მისგან ათი მანქანის ყიდვას მოითხოვდნენ. ადნარ აქიარს ათივე მანქანა აყიდინეს და ხაჭაპურიძის განცხადებით, დღეს სამი მათგანით შოუ-ბიზნესის ცნობილი სახეები მოძრაობენ, რომელთა ვინაობის დასახელებისგან ამ ეტაპზე ადვოკატი თავს იკავებს. დანარჩენი შვიდი ავტომობილი კი სხვადასხვა სახელმწიფო უწყებას ემსახურება. ხაჭაპურიძის თქმით, ეს მანქანები ადნარ აქიარის სახელზე იყო გაფორმებული და მისთვის უცნობია, შემდეგ სხვებმა როგორ მოახერხეს მათი გადაფორმება, რის გარკვევასაც, მისი თქმით, გამოძიება შეძლებს.

ადვოკატი აცხადებს, რომ მთლიანობაში ადნარ აქიარს ამ ავტომანქანებში 298 000 ლარის გადახდა მოუწია, თუმცა მას იმ დროისათვის ხელზე მხოლოდ 60 000 ჰქონდა და „ტოიოტას" ცენტრის ხელმძღვანელმა მას უთხრა, რომ პრობლემა არ იყო და დანარჩენი შეეძლო მოგვიანებით გადაეხადა. ხაჭაპურიძე აცხადებს, რომ ეს მართლაც ასე მოხდა და დანარჩენი თანხა თურქმა ბიზნესმენმა დაახლოებით ორი კვირის შემდეგ გადაიხადა, რისი მამტკიცებელი დოკუმენტაციაც მას ხელთ აქვს.

**„მოგვიანებით შეიცვალა ფინანსური პოლიციის უფროსი და ამ თანამდებობაზე დავით ქარსელაძე დაინიშნა. ადნარ აქიართან ახლა უკვე ქარსელაძის ძმა სოსო ქარსელაძე მივიდა და უთხრა, - თქვენ ვერ იმუშავებთ, თუ მე თქვენი „კრიშა" არ ვიქნებიო. ეს ადამიანი თურქი ბიზნესმენის კომპანიის არაოფიციალური გენერალური დირექტორი გახდა, რომელსაც ფირმიდან თვეში 100 000 დოლარი მიჰქონდა. მას შემდეგ, რაც დავით ქარსელაძე ფინანსური პოლიციის უფროსობიდან წავიდა, იმავე დღეს ადნარ აქიარის ბიზნესს ქარსელაძის ძმაც ჩამოშორდა, მაგრამ ორ დღეში მოვიდნენ კუდ-ისა და სოდ-ის თანამშრობლები და ამ ფირმის რამდენიმე თანამშრომელი დააპატიმრეს. მათი პატიმრობა დაახლოებით ერთი თვე გაგრძელდა, რის შემდეგაც მათ 500 000 ლარი გადაახდევინეს. ამის შემდეგ ბატონმა ადნარმა და მისმა პარტნიორმა საერთოდ უარი განაცხადეს ყოველგვარ „კრიშებზე", რის გამო უკვე თავად ბატონი ადნარი დააპატიმრეს. მან ციხეში დაახლოებით ერთი წელი გაატარა, ხოლო მას შემდეგ, რაც მან გაყიდა ყველაფერი, თუკი რამ გააჩნდა და 200 000 ლარი გადაიხადა, იგი იმ დღესვე გამოუშვეს",** — ამბობს შალვა ხაჭაპურიძე.

მისი თქმით, ადნარ აქიარი წარმატებული ბიზნესმენიდან იქცა ადამიანად, რომელიც ცოლ-შვილთან ერთად თბილისის გარეუბანში ერთოთახიან ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს. ახლა კი იგი სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ითხოვს დავით კეზერაშვილის, დავით ქარსელაძის და მისი ძმის სოსო ქარსელაძის მიმართ. ამასთანავე, იგი ითხოვს, გაირკვეს იმ მანქანების ბედი, რომლებიც მას გამოძალვის გზით აყიდინეს, ყადაღა დაედოს ამ ავტომანქანებს და კეზერაშვილის და ძმებ ქარსელაძეების ქონებასაც.

დაბოლოს, კიდევ ერთი საქმე, რომელთან დაკავშირებითაც პროკურატურაში საჩივარი შევიდა, ბაჩო ახალაიას ეხება. შალვა ხაჭაპურიძე საუბრობს პატიმარ ირაკლი ხოხიაშვილზე, რომელიც მის მიმართ წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაზე ჰყვება. ადვოკატის თქმით, ხოხიაშვილის საქმე სტრასბურგშია გაგზავნილი, მასზე უკვე წარმოებაც დაწყებულია და, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში გადაწყვეტილებაც მიიღება. აქვე ხაჭაპურიძე პატიმრის წამების ფორმებზე საუბრობს.

**„ეს ხდებოდა ციხის სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც გაკვეთეს გარდაცვლილი პატიმრის გვამი, მასზე პირქვე დააწვინეს გაშიშვლებული ხოხიაშვილი, შეუერთეს ელექტროსადენები და წყალს ასხამდნენ. ასეთი წამება დაახლოებით ორი-სამი დღე გრძელდებოდა და მთლიანობაში ასეთი ფორმით ეს ადამიანი რამდენჯერმე აწამეს.** მოგეხსენებათ, გიგა ბოკერიამ განაცხადა, რომ ციხეში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით ისინი საქმის კურსში არ იყვნენ, **მაგრამ ხოხიაშვილის წამებასთან დაკავშირებით საქმის კურსში ჩაყენებული იყო პარლამენტის თავმჯდომარე, პრეზიდენტი, სახალხო დამცველი და ყველა შესაბამისი ორგანო. არათუ რაიმე რეაგირება არ ხდებოდა ამ ფაქტზე, როგორც კი მაშინდელი ციხის საავადმყოფოს უფროსი ვაჟა ცხვედიანი გაიგებდა, რომ ეს განცხადებები იგზავნებოდა, საკნიდან გამოჰყავდა ირაკლი ხოხიაშვილი და სცემდა. რატომღაც, ახალაიას მინისტრობის დროის მთავარი ჯალათი ცხვედიანი ყველას დაავიწყდა",** — ამბობს შალვა ხაჭაპურიძე.

იგი მთავარი პროკურატურისგან ითხოვს, ხოხიაშვილის წამების ფაქტებთან დაკავშირებით პასუხისგებაში მიეცნენ ბაჩო ახალაია, მეგის ქარდავა (რომელიც ადვოკატის თქმით, პატიმრის წამებაში უშუალოდ მონაწილეობდა), ასევე ქსნის კოლონიის დირექტორი არაქელოვი და ვაჟა ცხვედიანი.

**ნინო ჟღენტი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ღია წერილი

# არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი დახურვას გადაურჩა

## ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, ბ-ნ ალ. კვიტაშვილს

ბატონო რექტორო,

საჯარო მომართვის ფორმა ავირჩიეთ იმიტომ, რომ ურთიერთობის სხვა შესაძლებლობა არ დაგვიტოვეთ. მიზეზი კი ამ მომართვისა შემდეგია: ა. წ. ოქტომბრის პირველი დეკადის ბოლოს არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ა. კუკულავას 28 სექტემბრის წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ უნივერსიტეტის წესდება არ ითვალისწინებს სამეცნიერო საბჭოს, როგორც სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მართვის ორგანოს, არსებობას, ამიტომ ინსტიტუტის დირექტორმა დამტკიცებული საშტატო განრიგის მიხედვით უნდა გადაანაწილოს უფლება-მოვალეობანი და საჭიროების შემთხვევაში ინსტიტუტის შესაბამის პერსონალთან შეთანხმებით მიიღოს ინსტიტუტის საქმიანობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები (საინტერესოა, როგორ ან რომელი „საშტატო განრიგის“ საფუძველზე უნდა გადაანაწილოს ინსტიტუტის დირექტორმა სამეცნიერო საბჭოს უფლება-მოვალეობანი). იქნებ დაგვისახელოს ბ-მა კუკულავამ ისეთი ცნობილი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება პოსტსაბჭოთა სივრცეში, ევროპასა თუ ამერიკაში, რომლის მართვაში მონაწილეობას არ იღებდეს რომელიმე წარმომადგენლობითი ორგანო (სამეცნიერო თუ სამეთვალყურეო საბჭო...). ან იქნებ თქვენ დაგისახელათ მან უნივერსიტეტის წესდების ის პუნქტი, რომელიც კრძალავს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს არსებობას.

უნდა აღვნიშნოთ, რომ უნივერსიტეტის იურისტის წერილი პასუხია ინსტიტუტის დირექტორის მიერ ა. წ. 18 სექტემბერს თქვენდამი გამოგზავნილი თხოვნისა, რომ სამეცნიერო საბჭოს წევრებს უფლებამოსილება გაგრძელებოდათ ახალ არჩევნებამდე, რომელიც ინსტიტუტის ახალი დებულების არარსებობის გამო ფერხდებოდა. თავად ეს მომართვა, რაგინდ უცნაურიც არ უნდა იყოს, იურიდიული დეპარტამენტის რეკომენდაციით დაიწერა, თითქოს სამეცნიერო საბჭოს უფლებამოსილების გაგრძელება იქნებოდა შესაძლებელი. ჩვენda სამწუხაროდ, არ დავეჭვდით, რომ ეს ან ფანდი იყო, ან არაკომპეტენტურობა, თორემ ადმინისტრაცია არჩევით ორგანოს მოქმედების ვადას როგორ გაუხანგრძლივებდა?! სრულიად დაუჯერებელია, რომ ეს იურიდიული კაზუსი თქვენმა იურიდიულმა დეპარტამენტმა ვერ გაითვალისწინა და ისიც საეჭვოა, რომ ამ განზრახის შესახებ უნივერსიტეტის რექტორატი არ იყო ინფორმირებული.

გაუგებრობა ამით არ თავდება. იურიდიული დეპარტამენტის უფროს კუკულავას ეტყობა გამორჩა, რომ, უნივერსიტეტის წესდების 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სტრუქტურასა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს ინსტიტუტის დებულება, ეს დებულება კი ა. წ. აპრილში შედგა ენათმეცნიერების ინსტიტუტში უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული სანიმუშო დებულების საფუძველზე, მაგრამ დღემდე უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ არ ინება მისი განხილვა და დამტკიცება!

შეუძლებელია ბ-ნ კუკულავას არ მოეხსენებოდეს, რომ უნივერსიტეტში შემუშავებულ ინსტიტუტების სანიმუშო დებულებასა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ მის საფუძველზე შედგენილ დებულებაში სამეცნიერო საბჭო ფართო უფლებებით არის წარმოდგენილი.

ამასთან ერთად, უნდა აღვნიშნოთ, რომ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ არ შეასრულა აწ გარდასული მთავრობის 2011 წლის 27 ივნისის №255 დადგენილებაც კი, რომელიც მას ავალებდა 2012 წლის 1 იანვრამდე (ანუ 2011 წლის ბოლომდე!) დაესრულებინა მასთან მიერთებული ინსტიტუტის რეორგანიზაციასთან დაკავშირებული ღონისძიებები, რაც, ბუნებრივია, ინსტიტუტის სტრუქტურულ მოწყობასა და დებულების მიღებასაც ითვალისწინებდა. ამის სანაცვლოდ, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ინსტიტუტის დირექტორს ჯერ 2011 წლის ოქტომბრიდან 2012 წლამდე გაუგრძელა მოვალეობის შესრულების ვადა, ხოლო შემდეგ – 2012 წლის დასაწყისიდან ჯერ კვლავ „დირექტორის მოვალეობა“ გაუგრძელა, 20 თებერვლიდან კი პირდაპირ დირექტორად დანიშნა. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო, რომელსაც ფუნქციონირების ვადა სულ ახლახან, 18 სექტემბერს ამოეწურა, მხოლოდ ვადის პირველი გაგრძელების შესახებ იყო საქმის კურსში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ისიც კი არ მიიჩნია საჭიროდ, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მოთათბირებოდა; ან უნივერსიტეტის წესდების რომელი პუნქტი ითვალისწინებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ზემოაღნიშნულ ქმედებას? ეს ყოველივე კი იმას ნიშნავს, რომ „კუკულავას ვერდიქტი“ საბჭოს არსებობის დროსვე იყო შემუშავებული და სადაგ დროს ელოდებოდით...

აბა, დავუკვირდეთ კუკულავას წერილის თარიღს: 28 სექტემბერი პარასკევია; ამას მოსდევს შაბათი და კვირა; ორშაბათი - 1 ოქტომბერი არჩევნების დღეა; გათენდებოდა, თქვენი გეგმით, ნაციონალური 2 ოქტომბერი და ნიშნისმოგებით გამოგვიცხადებდით: უკვე გასული თარიღით ხართ გაუქმებულიო!

აი, რას გადარჩა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი და არა მხოლოდ ის!

ბატონო ალექსანდრე, გასული წლის ივლისში, როცა ინსტიტუტის შესახებ გილაურის ბრძანება დაიწერა, თქვენ, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ბრძანდებოდით ენათმეცნიერების ინსტიტუტში და შეხვდით სამეცნიერო საბჭოს. ამ შეხვედრაზე თქვენ ხაზგასმით აღნიშნეთ ამ ინსტიტუტის განსაკუთრებული მნიშვნელობა და გამოთქვით მზადყოფნა, რომ წლის ბოლომდე მოგვარდებოდა ინსტიტუტის ახალ სტატუსთან დაკავშირებული პრობლემები. სამწუხაროდ, სიტყვა ერთია და საქმემ სრულიად საწინააღმდეგო რამ გვიჩვენა.

უხერხული ხომ არ არის, დიდი ისტორიის მქონე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება უნივერსიტეტის მიერ ხდებოდეს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და ინსტიტუტის თანამშრომელთა ნების გაუთვალისწინებლად, ინსტიტუტისა, რომლის სამეცნიერო პოტენციალი (84 მეცნიერი თანამშრომელი, რომელთა შორის 20 მეცნიერებათა დოქტორია, 40 – მეცნიერებათა კანდიდატი, 3 – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი) საკმაოდ სოლიდურია. მისი მიმდინარე აქტივობის საბუთად კი შეიძლება კიდევ ერთხელ შეგახსენოთ, რომ ინსტიტუტი აგრძელებს ქართული ეროვნული საუნჯის – „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულის ახალ რედაქციაზე მუშაობას (უკვე გამოიცა ორი ტომი, მთავრდება მესამე ტომის მომზადება), ქართულთან და სხვა ქართველურ ენებთან ერთად წარმატებით შეისწავლება 20-ზე მეტი მთის იბერიულ-კავკასიური ენა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შიდა- და გარენათესაობის პრობლემები, მიმდინარეობს მუშაობა ქართული სალიტერატურო ენის ნორმებზე, ორენოვან და ტერმინოლოგიურ ლექსიკონებზე, ქართული ენის კომპიუტერული დამუშავების საკითხებზე...

სამწუხაროდ, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან (რბილად რომ ვთქვათ) უყურადღებო დამოკიდებულება, რაც იურისტ კუკულავას წერილში გამოჩნდა, ერთეული შემთხვევა არ არის. ზემოთ უკვე ითქვა ამის შესახებ. სხვა ფაქტებიც გვაქვს ამგვარი დამოკიდებულებისა...

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 2010-2011 წლებში მაშინდელი ხელისუფლების გადაწყვეტილებით უნივერსიტეტს შეუერთეს 14 სამეცნიერო დაწესებულება, რომელთაგან დღემდე არც ერთს არ დამტკიცებია წესდება (თუ დებულება), არ არჩეულა სამეცნიერო საბჭოს ახალი შემადგენლობა და არც დირექტორების არჩევნები ჩატარებულა. ყველა საკითხს ერთპიროვნულად წყვეტს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია!

ასეთ პირობებში, პირდაპირ უნდა ვთქვათ, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის არსებობა უნივერსიტეტის შემადგენლობაში სრულიად უპერსპექტივოა; ნიშნს არ გიგებთ, მაგრამ ახალმა რეალობამ, საბედნიეროდ, ეროვნული მეცნიერების გადარჩენის ახალი შესაძლებლობები გააჩინა!

**მინაწერი:** ზედ არჩევნების წინადღეს, 28 სექტემბერს, უნივერსიტეტის ნაციონალური ადმინისტრაციის მიერ ენათმეცნიერების ინსტიტუტისათვის გამოტანილი განაჩენი („კუკულავას ვერდიქტი“), ცხადია, პირდაპირი შინაარსით დაემთხვეოდა იმ არცთუ სახუმარო საბჭოურ პრეცედენტს, რომელიც ჩვენ 1 ოქტომბრის შემდეგ უკვე იუმორისტული განწყობით გაგვახსენდა: 1918 წლის იანვარში რევოლუციონერი მატროსი ანატოლი ჟელეზნიაკოვი სანკტ-პეტერბურგის თავრიდის სასახლის სცენაზე ავარდა და დამფუძნებელი კრების ე. წ. კონტრრევოლუციურ უმრავლესობას გამოუცხადა: თქვენ დათხოვნილები ხართო!

აი, ამ „რევოლუციური“ სიტყვებით დარჩა ისტორიაში მატროსი ჟელეზნიაკოვი.

ასევე შეეძლო იურისტ კუკულავას ისტორიის ფურცლებზე მოხვედრა ჩიქობავას ინსტიტუტის გაუქმებით, მაგრამ ბედმა უმუხთლა...

აი, სადამდე მიჰყავს სახელისუფლებო ვოლუნტარიზმს რიგით ჩინოვნიკთა თავგასულობა: ვინმე კუკულავა თავს უფლებას აძლევს ჯვარი დაუსვას არნ. ჩიქობავას საქვეყნოდ ცნობილ სამეცნიერო სკოლას (ისევე, როგორც ცოტა ხნით ადრე „ვინმე“ მინისტრის მოადგილე მოაწერს ხელს დ. უზნაძის სახელოვანი სკოლის გაუქმებას)!..

იმედია, ეს განუკითხაობის დრო საბოლოოდ დასრულდა!..

**ავთანდილ არაბული,**
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

**გიორგი გოგოლაშვილი,**
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების ხელმძღვანელი;

**თამარ ვაშაკიძე,**
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი;

**გუჩა კვარაცხელია,**
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების ხელმძღვანელი;

**მურმან სუხიშვილი,**
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

**მარიამ ღლონტი,**
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი;

**ვაჟა შენგელია,**
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილების ხელმძღვანელი.

## ალიან-ჩალიანი

### „თელასის“ გაფიცულმა თანამშრომლებმა და კომპანიის ხელმძღვანელობამ შეთანხმებას მიაღწიეს

**სააქციო** საზოგადოება „თელასიდან“ გათავისუფლებული 125 თანამშრომლის აღდგენისა და ორგანიზაციის მაღალი რგოლის მენეჯერების თანამდებობიდან გათავისუფლებული შესახებ შეთანხმება მიღწეულია.

ამ მოთხოვნებით „თელასის“ ყოფილი და მოქმედი თანამშომლები დღეს დილიდან კომპანიასთან საპროტესტო აქციას მართავდნენ, რომელიც უკვე შეწყვეტილია.

შეთანხმების მიღწევის შესახებ განცხადება „თელასის პროფესიული კავშირის ხელმძღვანელმა„ მალხაზ ღომიაშვილმა გააკეთა, რომელიც გაფიცვის და საპროტესტო აქციის პარალელურად, „თელასის“ გენერალურ დირექტორთან აშოტ მანუკიანთან მოლაპარაკებებს მართავდა.

მისი განცხადებით, გენერალური დირექტორი გამოთქვამს სრულ მზაობას, რომ თელასის თანამშრომლების მოთხოვნები მთლიანად შესრულდეს. ამასთან, უკვე დაწერილია . ტოპ-მენეჯმენტის 13 წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანება და გათავისუფლებლებული თანამშრომლების ნაწილის სამსახურში აღდგენის შესახებ განკარგულება.

რაც შეეხება დანარჩენი თანამშრომლების აღდგენას, როგორც მალხაზ ღომიაშვილმა აღნიშნა, ამ პროცედურებისთვის „თელასის„ ხელმძღვანელობამ მოითხოვა რამდენიმე დღე და 12 ნოემბერს, სავარაუდოდ, ეს პროცესი დასრულებული იქნება.

ამასთან, როგორც პროფკავშირის წარმომადგენლები და დღევანდელი მოლაპარაკების მონაწილეები აცხადებენ, კომპენსაციებზე და კუთვნილ ხელფასებზე, რაც თელასის თანამშრომლებს გათავისუფლების პერიოდში უნდა მიეღოთ, თ მოლაპარაკებები გაგრძელდება.

### ტყიბულში მაღაროელები გაიფიცნენ

**ტყიბულში** მაღაროიელები გაიფიცნენ. როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, გაფიცულები ხელფასების კლებას აპროტესტებენ. ისინი მაღაროს ადმინისტრაციულ შენობასთან შეკრებას გეგმავენ.



არსებული ინფორმაციით, ადმინისტრაციულ შენობასთან გაფიცულ მაღაროელებს ტყიბულის მაჟორიტარ დეპუტატ ელისო ჩაფიძეს და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრ დავით ბეჟუაშვილს შეხვდებიან და თავიანთ პრობლემებს გააცნობენ.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ კითხული კაცის სიტყვა

# აღშფოთებული აზრი აქტუალურ თემაზე

## ჯერ – რეალური ფუნქცია, მერე – ფუნქციონერი...

**აქტუალური თემა, ეს არის თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობა. აღშფოთებული აზრი გამოწვეულია იმით, რომ სრულიად მოულოდნელად ეს თემა ვიღაცების მიერ პრესაში და ტელევიზიაში დადგმული თავხედური სპექტაკლების საგნად იქცა.**

აქტუალურობას რაც შეეხება, სამწუხაროდ, იგი ეხება არა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, როგორც ასეთს, არამედ რექტორის თბილ ადგილს. ეს ძალიან ცუდად ახასიათებს ჩვენს მენტალობას. მაინც მინდა დავიტოვო იმედი, რომ თქმული ეხება ადამიანთა მხოლოდ მცირე ჯგუფს და არა მთლიანად საზოგადოებას, რომელსაც — ისევ იმედს ვიტოვებ — უნივერსიტეტი და მისი მომავალი აინტერესებს და კარგად ესმის, რომ მომავალი და აღორძინება არა ფორსირებული გადაწყვეტილებების და საჩქარო დანიშვნების შედეგად იქმნება, არამედ საქართველოს აღორძინებისა და განახლების კონტექსტში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის განსაკუთრებული ადგილის განკუთვნებით და ამისათვის პროფესიონალთა თავებში შექმნილი გრძელვადიანი გეგმის რეალიზებით.

საქართველოში განახლება იწყება. პროცესი დაიძრა. ახლა ამოცანაა გამოსვლა გამარჯვების მდგომარეობიდან (ბოდიშს ვიხდი, რომ ვიმეორებ გაზ. „რეზონანსში“ ამას წინათ გამოქვეყნებული ჩემი სტატიის სათაურს), რაც, ყველაფერთან ერთად, საზოგადოების ახალ, ტრანსფორმირებულ აზროვნებასთან არის დაკავშირებული. იქნება ეს აზროვნება მედროვეთა და პარტიზანთა აზროვნება, თუ თანამედროვე ტიპის, პოლიტიკურად შეგნებული და საზოგადოებრივად აქტიური მოქალაქის აზროვნება, — ამაზე, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია თავისუფლებისა და დემოკრატიის ბედი ქვეყანაში, მაგრამ დამოკიდებულია ლიდერის ბედიც ამავე ქვეყანაში.

**ის, რომ საზოგადოებამ (რაღაც ნაწილმა) წარმოიდგინა, რომ უნივერსიტეტი ის დაწესებულებაა, სადაც, ვისაც გაეხარდება, ის შეიძლება იყოს ხელმძღვანელი, ძალიან ცუდია. ის, რომ პრეტენდენტთა შორის გაიელვა ზოგიერთმა ისეთმა სახელმა, რომელიც პირდაპირ და საქმიანად მტრობდა უნივერსიტეტს, ძალიან საშიშია.** მე მხედველობაში კონკრეტულად მყავს ერთი ქალბატონი, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ ტელეეკრანებიდან წინასწარ იხდიდა მადლობას მხარდაჭერისთვის, ხოლო რამდენიმე წლის წინათ უნივერსიტეტის დანგრევის იდეოლოგიას აყალიბებდა, მათ შორის, ისეთს, რომ უნივერსიტეტში საგნების მხოლოდ 30% უნდა იკითხებოდეს ქართულად...

**უნივერსიტეტი სათუთი რამ არის. ამავე დროს — მნიშვნელოვანი. შეიძლება, ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენს თანამედროვე ქართულ სინამდვილეში.**

ჩვენთან უნივერსიტეტი თავიდანვე იყო ჩაფიქრებული როგორც გაცილებით უფრო მეტი რამ, ვიდრე უნივერსალური ცოდნის ადგილი.

1918 წელს ჩვენთვის ეს იყო დიდი იდეა, რომელსაც უნივერსიტეტი, ერთი მხრივ, გამოხატავდა, მეორე მხრივ, განახორციელებდა (კიდევ ერთხელ ვიხდი ბოდიშს იმისათვის, რომ 1988 წ. „ლიტ. საქართველოში“ ჩემ მიერ გამოქვეყნებული სტატიის ზოგიერთ თეზისს ვიმეორებ).

**მსოფლიოში ერთადერთი ქართული უნივერსიტეტი გამოხატავდა სუვერენობისა და თავისუფლების იდეას; სახელმწიფოებრივი ერთიანობის, ეროვნული მთლიანობის იდეას; დემოკრატიის იდეას; კულტურული დამოუკიდებლობისა და ეროვნული პრიორიტეტისთვის ზრუნვის იდეას; აღორძინებისა და განახლების იდეას; სიამაყისა და ტრიუმფის იდეას... თუ გნებავთ — უკვდავების იდეას (ცნობილ და კონკრეტულ ფუნქციას, უშუალოდ განათლებასა და მეცნიერებასთან დაკავშირებულს, ამჟერად არ ვეხები).**

ამას ყველაფერს იმიტომ ვიმეორებ, რომ დღეს ეს იდეები განახლებული სახით ისევ აქტუალურია. დღეს ჩვენ, სამწუხაროდ, კვლავ სასტარტო მდგომარეობაში ვართ, — ასეთი მდგომარეობა სამოქმედო პრიორიტეტების განსაზღვრას მოითხოვს. პრიორიტეტულია განათლებული საზოგადოების შექმნა, რაც საზოგადოებრივ წესრიგსაც მოიტანს, ზნეობასაც, სამართლიანობასაც და ეკონომიკურ და სოციალურ აყვავებასაც. ნებისმიერი სხვანაირი სტარტი მინიმუმ ასეთივე ეფექტური არ იქნება. ჩვენი იმ რეალობიდან გამომდინარე, რომ განათლების სისტემა დაშლილია, აკადემიაში შემავალი, საერთაშორისო ღირებულების მქონე სამეცნიერო ცენტრები გაუქმებულია, უპირველეს ამოცანას წარმოადგენს შეიქმნას ქართული მეცნიერებისა და კულტურის ცენტრი, და ეს ცენტრი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უნდა იყოს.

ასეთი მისია აქვს დღეს უნივერსიტეტს, და პრობლემის ვულგარიზება არ შეიძლება. თუ ჩვენთვის დღეს მთავარია მხოლოდ რექტორის გამოცვლაზე ზრუნვა და არა უნივერსიტეტის განვითარებაზე, ხვალ ჩვენ ისევ რექტორის გამოცვლაზე ვიზრუნებთ, ზეგ — ისევ, ხოლო საქმე მხოლოდ ქაღალდზე იქნება წინ წაწეული.

ამიტომ ჯერ დავსახოთ გეგმა, რა გვინდა და რაა საჭირო, რომ შეიქმნას ქართული განათლების, მეცნირებისა და კულტურის მძლავრი ცენტრი, და მერე ვეძებოთ ახალი ხელმძღვანელობა, რომელიც ამ გეგმისთვის არის შესაფერისი. ამოცანა ასე ჟღერს: ჯერ — რეალური ფუნქცია, მერე — ფუნქციონერი.

ამგვარი გეგმისა და პროგრამის დასახვა მხოლოდ შიგნით შეიძლება და არა გარედან. ეს შეუძლიათ იმ უნივერსანტებს, ნამდვილ უნივერსანტებს, რომლებიც კიდევ შემორჩნენ უნივერსიტეტს; და მათთან ერთად — გარედან კიდევ იმათ, ვისაც რაღაცა გაეგება ამ საქმეში და მხოლოდ პრესტიჟული ადგილი და გემრიელი ლუკმა არ აინტერესებს.

**მიზანი ჩამოსაყალიბებელია და სამოქმედო გეგმა შესაქმნელია.**

**მერე ახალი ხელისუფლება და მისი ლიდერი დაგვეხმარება.**

**აპოლონ სილაგაძე**

◎ თვითნებობა

**სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ უკანონოდ დაჯარიმებულები ნათია მოგელაძისა და ლევან ბეჟაშვილის სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემას ითხოვენ. ამის შესახებ for.ge-ს ერთ-ერთმა დაჯარიმებულმა, „ქართული ოცნების“ წევრმა, დეპუტატმა გიგა ბუკიამ განუცხადა. შეგახსენებთ, გიგა ბუკია აუდიტის სამსახურმა „ქართული ოცნების“ ანგარიშზე 35 000 ლარის ჩარიცხვის გამო 190 000 ლარით დააჯარიმა და ქონება დაუყადაღა.**

დღეს გიგა ბუკია აცხადებს, რომ პროკურატურაში მისმა ადვოკატმა შეიტანა საჩივარი და ითხოვს ყველა იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას, რომლებიც ამ უკანონო დაჯარიმებებში მონაწილეობდნენ. კერძოდ, ბუკიას განცხადებით, ეს იყო სისტემური დანაშაული, ვინაიდან მასში მონაწილეობდა კონტროლის პალატა (ამჟამინდელი სახელმწიფო აუდიტის სამსახური), სასამართლო და სააღსრულებო ბიურო. ამიტომ, გიგა ბუკია ითხოვს, რომ სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული იყვნენ ნათია მოგელაძე, ლევან ბეჟაშვილი და ყველა ის მოსამართლე, რომლებიც კონტროლის პალატის მიერ მიღებულ უკანონო გადაწყვეტილებებს აკანონებდნენ. დეპუტატი იმასაც ამბობს, რომ ყოველი ასეთი უკანონო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ეს ადამიანები სოლიდურ პრემიებს ღებულობდნენ.

## უკანონოდ დაჯარიმებულები მოგელაძის და ბეჟაშვილის დასჯას ითხოვენ



**„მე ერთ-ერთი პირველი ვიყავი, ვინც უკანონოდ დაჯარიმდა. რა თქმა უნდა, ამ უკანონო ჯარიმის გადახდას არ ვაპირებდი, რის შესახებაც ღიად განვაცხადე. ამის შემდეგ დააყადაღეს მთელი ჩემი უძრავ-მოძრავი ქონება, ყველაფერი აუქციონზე გამიყიდეს. აღსანიშნავია, რომ ჩემთვის დაკისრებული ჯარიმა 190 000 ლარი იყო, ჩემი სახლი კი 330 000-ად გაიყიდა. როდესაც მოვითხოვე, რომ დანარჩენი თანხა ჩემს ანგარიშზე ჩაერიცხათ და მე ამ თანხას ასევე „ქართულ ოცნებას“ შევწირავდი, ხელისუფლებამ აუქციონის შედეგები გააბათილა და მთელი ჩემი ქონება სახელმწიფოს საკუთრებაში მოაქცია“,** — აცხადებს გიგა ბუკია.

მისი თქმით, არჩევნების შემდეგ, 3 ოქტომბერს მას სააღსრულებო ბიუროდან დაუკავშირდნენ და უთხრეს, რომ მისთვის ჩამორთმეული მთელი ქონება ისევ მის სახელზე დარეგისტრირდა. ბუკია ხაზს უსვამს, რომ მისი დაჯარიმება თავიდანვე უკანონო იყო, მაგრამ ამ ჯარიმის თანხის ამოღებამ რაღაც პროცედურები გაიარა (აღმასრულებელი, სასამართლო და ა.შ.). ამიტომ იგი დაინტერესდა, ამ ყველაფრის შემდეგ რის საფუძველზე უბრუნებდნენ ქონებას, რაზეც პასუხი ვერ გასცეს. ამდენად, გიგა ბუკიას მთელი ქონება უკან დაუბრუნდა, მაგრამ მისი საბანკო ანგარიშები ჯერაც დაყადაღებულია.

დეპუტატი აცხადებს, რომ ნათია მოგელაძის, ლევან ბეჟაშვილისა და ასეთ საქმეებზე გადაწყვეტილების მიმღებ მოსამართლეების ქმედებაში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებია და სწორედ ამიტომ ის მათ პასუხისგებაში მიცემას ითხოვს. აქვე ბუკია იხსენებს ოქტომბრის არჩევნებამდე ერთი თვით ადრე ეუთოს მიერ დადებულ დასკვნას, სადაც სახელმწიფო აუდიტის ქმედება შეფასებული იყო, როგორც არამართლზომიერი. თუმცა, ბუკია ამბობს, რომ აუდიტის თავგასულ ქმედებას არანაირი შედეგი არ ექნებოდა, რომ არა სასამართლოს უკანონო ქმედებაც, რომელიც საააკაშვილის ბრძანებებს დიდი ენთუზიაზმით ასრულებდა.

**„ამ ადამიანებს მოუწევთ სამართლიანი სასამართლოს წინაშე თავის მართლება და ვნახოთ, რა შედეგი დადგება. მე ვადანაშაულებ მათ უკანონო ქმედებებში და იმედია, სასამართლო სამართლიან გადაწყვეტილებას გამოიტანს. ორი ვარიანტია, ან მე უნდა დავრჩე ისევ სამართალდამრღვევად, როგორადაც აუდიტის სამსახურმა მცნო, ან პასუხი უნდა აგონ იმ პიროვნებებმა, ვინც ასეთი უკანონო გადაწყვეტილებები გამოიტანა და ამაში სოლიდური გასამრჯელოც მიიღეს“,** — ამბობს გიგა ბუკია.

**ერთ-ერთი პირველი, ვინც კონტროლის პალატამ „ქართული ოცნებისთვის“ უკანონო შემოწირულობის ბრალდებით დააჯარიმა ბესიკ მუმლაურისა და თამაშა ჩიტაიას ოჯახი იყო. მუმლაურმა „ქართულ ოცნებას“ 10 000 ლარი შესწირა, ჩიტაიამ კი — 5000 ლარი. ამიტომ მათი დაჯარიმება ამ თანხის ათმაგი ოდენობით მოხდა. შესაბამისად, მუმლაური 100 000 ლარით დაჯარიმდა, მისი მეუღლე კი 50 000 ლარით. ისინი თავიდანვე აცხადებდნენ, რომ მათ ამ შემოწირულობის გასაკეთებლად საკმარისი შემოსავალი ჰქონდათ, მაგრამ კონტროლის პალატამ მათი ეს არგუმენტი არ გაითვალისწინა. მუმლაურმა და ჩიტაიამ ჯარიმა არ გადაიხადეს, რის გამოც მთელი მათი უძრავ-მოძრავი ქონება დაყადაღდა (ბინა, ავტოფარეხი, მანქანა და ა.შ.) და აუქციონის წესით გაიყიდა.**

მუმლაურისა და ჩიტაიას ადვოკატი ალა კახნიაური აცხადებს, რომ მათი ქონება აუქციონის წესით გაიყიდა. სააღსრულებო სამსახურს მართალია ამის თაობაზე გამზადებული ჰქონდა განკარგულებები, მაგრამ ეს დოკუმენტები საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული არ იყო, ელოდებოდნენ არჩევნებს და როგორც კი არჩევნები ჩატარდა, მეორე დღესვე ეს განკარგულებები გაუქმდა. შესაბამისად, მუმლაური და ჩიტაია მათი ქონების მესაკუთრედ არიან რეგისტრირებულები, მაგრამ ეს ქონება დაყადაღებულია. ყველაფერ ამის გამო დაჯარიმებული პირების საქმე სამართლებრივად ძალიან საინტერესო მდგომარეობაშია. კერძოდ, არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება მუმლაურისა და ჩიტაიასათვის თანხის დაკისრების თაობაზე და ეს გადაწყვეტილება ჯერ არ გაუქმებულა. შესაბამისად, სააღსრულებო ბიუროს ამ გადაწყვეტილების აღსრულების ვალდებულება აკისრია, ვინაიდან სააღსრულებო ფურცელი გამოწერილია და წარდგენილია აღსასრულებლად.

ადვოკატი აპირებს, მთავარ პროკურატურას მიმართოს, რათა გამოძიებული იყოს, რატომ მოქმედებდა კონტროლის პალატა უკანონოდ. იურისტი იმედოვნებს, რომ ამ გამოძიების ფარგლებში დადგინდება, კონტროლის პალატას ვინ და რატომ დაავალა ამგვარი ქმედებების ჩადენა. შემდეგ ეს გახდება საქმის გადახედვის საფუძველი და დაზარალებულების ადვოკატი უკვე სასამართლოს მიმართავს, რათა ამ საქმეების გადახედვა მოხდეს. ალა კახნიაური მიიჩნევს, რომ კონტროლის პალატის მიერ ჩადენილ ქმედებებში სისხლის სამართლის დანაშაული გამოიკვეთება, რადგან ის უკანონო დაკვეთებს ასრულებდა. იურისტი აცხადებს, რომ საქართველოში გამოძიება პრაქტიკულად არ ხდებოდა და ნებისმიერი საგამოძიებო ორგანოს მიზანი მხოლოდ ადამიანის დაჭერა, ციხეში ჩასმა და ვაჭრობა იყო. შემდეგ ხდებოდა დანაშაულის აღიარება, ფულის გადახდა და დაკავებულის გამოშვება.

ალა კახნიაურის თქმით, კონტროლის პალატამ დოკუმენტიც გააყალბა იმისთვის, რომ კონკრეტული ადამიანებისთვის ბრალი დაემძიმებინა. კერძოდ, იურისტი ამბობს, რომ კომპანია „ბურჯს“ „მენეჯმენტ სერვისთან“ ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მას სარემონტო სამუშაოებს უსრულებდა. ეს მხოლოდ კოსმეტიკური რემონტი იყო, მაგრამ კონტროლის პალატამ შეადგინა გარკვეული ცხრილი და ადვოკატის მიერ წარდგენილ საბუთებში ჩადო. ამ ცხრილში კი მითითებული იყო მაგალითად, რომ „ქართული ოცნების“ ქარელის ოფისის გარემონტება დაჯდა არა 3-4 ათასი ლარი, როგორც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, არამედ — 42 000 ლარი.

**„მაგალითად, მარტვილში მათ 88 000 ლარი ჰქონდათ რემონტზე მითითებული. ეს მაშინ, როდესაც 88 000 ლარად 3-4 სახლს იყიდი ისეთს, როგორიც „ქართულ ოცნებას“ საოფისედ ჰქონდა ნაქირავები. ვინაიდან მათი ინტერესი იყო, რაც შეიძლება მეტი ფულის ამოღება და ამ მოძრაობის გაჩერება, ამიტომაც ჩვენს მიერ წარდგენილი საბუთები არ აკმაყოფილებდათ. ბოლოს და ბოლოს, მათ შეეძლოთ ექსპერტიზის დანიშვნა იმის გასარკვევად, თუ რა ღირებულების სამუშაო იყო შესრულებული, მაგრამ კონტროლის პალატას თავი არ შეუწუხებია. მას ერჩივნა რაღაც ყალბი საბუთის შედგენა, ჩვენს მიერ წარდგენილ დოკუმენტებში ჩადება და ამის საფუძველზე ჯარიმების დაკისრება. გასაგებია, რომ პარტიების ფინანსური მონიტორინგი კონტროლის პალატაში სააკაშვილმა სწორედ იმისთვის შექმნა, რომ ამგვარი უკანონო ბრძანებები შეესრულებინა, მაგრამ ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ სასამართლოც ამ უკანონობის შესრულებას ყველანაირად ხელს უწყობდა“,** — ამბობს ალა კახნიაური.

**ნინო ჟღენტი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# „ხელს ვაწერ, აღარ მეშინია! ეს უკვე შედეგია“



**„უკეთეს მოლოდინში ვარ... იმედი მაქვს, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ყველაფერი შეიცვლება. ადამიანი იქნება თავის სიმაღლეზე საზოგადოებაში, ხალხი იქნება ნებისმიერი გადაწყვეტილების ამოსავალი წერტილი. მედია გათავისუფლდება მარწუხებისგან, შეიქმნება სამუშაო ადგილები, დაიკლებს სიღარიბის დონე, შეიქმნება საშუალო ფენა, რომელიც არ არსებობს, არიან მდიდრები და ღარიბები. უკვე შეიცვალა რაღაც! მე საკუთარ აზრს ღიად ვაფიქსირებ! ხელს ვაწერ, არ მეშინია! ეს უკვე შედეგია, რომელიც, ვიმედოვნებ, დროებითი არაა!“**

ასეთი მოსაზრება გამოთქვა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერიის ჟურნალისტიკის მიმართულების IV კურსის სტუდენტმა გ. ნაცვალაძემ სოციოლოგიური გამოკვლევის დროს. მის მიერ შევსებული ანკეტიდან ეს ამონაწერი ნათლად გვიჩვენებს, თუ ნაციონალური მოძრაობის პარპაშის დროს რაოდენ დაშინებული იყო მოსახლეობა, სტუდენტი ახალგაზრდობა. ამ გარეწრებმა საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ ხმამაღლა, საჯაროდ „ნაცების“ კრიტიკას ყველა ერიდებოდა, რადგან მთელ ქვეყანაში შექმნეს ჩაშვებისა და მოსმენის ინსტიტუტები, ხოლო შემდეგ, ვინც მათს აზრს არ იზიარებდა, იწყებდნენ მათზე და მათ ნათესავებზე ნადირობას — ითხოვდნენ სამსახურიდან, სხვადასხვა მაქინაციებით ართმევდნენ ქონებას, იჭერდნენ, ულახავდნენ ადამიანურ ღირსებას. საშინელი სისასტიკით არბევდნენ მიტინგებს. ასე იყო 2007 წლის 7 ნოემბერს, ასე იყო 2011 წლის 26 მაისს, როდესაც დაუნდობლად სცემდნენ მშვიდობიან მომიტინგეებს. ხელისუფლების მხრიდან ამ დარბევებს ადამიანთა დაღუპვა და მასობრივი დასახიჩრებები მოყვა. და ეს კეთდებოდა იმისთვის, რომ მთელ ქვეყანაში შიშის სინდრომი დაეთესათ, ადამიანები დაემუნჯებინათ და დაემონებინათ. სამწუხაროდ, მათ დროებით დიდი ზომით კიდეც მიაღწიეს საწადელს, განსაკუთრებით რეგიონებში. მათ მიერ ადამიანების წამების მეთოდებთან შედარებით ფაშისტების მეთოდებიც კი გაუფერულდა, რომლებიც თავიანთ მოქალაქეებს მაინც, ასე თუ ისე ინდობდნენ.

„ნაციონალებს“ ეჯავრებოდათ განათლებული, მცოდნე ადამიანები. მეტიც შეიძლება ითქვას: ადამიანი მათთვის არაფერს წარმოადგენდა და როგორც უბრალო ნივთს მას ისე ეპყრობოდნენ. თავად აბსოლუტურად გაუნათლებლები ცოდნის ტაძრიდან ერეკებოდნენ ცნობილ მეცნიერებს, განათლებულ ადამიანებს, მათ „ხულიგნებად“ მოიხსენიებდნენ, წარსულის გადმონაშთებსა და ჩარეცხილებს უწოდებდნენ ერის ყველაზე ღირსეულ ნაწილს. ასე იქცეოდა მაღალ ტრიბუნას ხელჩაჭიდებული პრეზიდენტი და მისი ბანდა.

აუცილებელია ერთიც ითქვას: ნაციონალები გაცილებით მეტ სიბინძურეს ჩაიდენდნენ, გაცილებით მეტ სისხლის მდინარეებს დააყენებდნენ, რომ არა პასუხისმგებლობა დასავლეთის ქვეყნებისადმი, რომლებმაც არნახულად შეუწყვეს ხელი „ვარდების რევოლუციას“, ნაციონალების ხელისუფლებაში მოსვლას, რომლებიც შხამიან ყვავილებად გადაიქცნენ, თუმცა, სამწუხაროდ, დასავლეთის ქვეყნები თვალებდახუჭული და ყურებდაგმანული, თუ შეიძლება ითქვას, შესცქეროდნენ მათ ავკაცობას, ქართული ეროვნული სულიერების განადგურებას და ეს, ალბათ, მათ არც აინტერესებდათ. საგაზეთო სტატიის მოცულობა არ იძლევა საშუალებას უფრო ვრცლად გავშალოთ ჩვენი მსჯელობა, მაგრამ აშშ-ის ჩვენთან მეგობრობაში საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობაც ასრულებს მთავარ როლს და კასპის ზღვის ფსკერის სიმდიდრის ჩვენს ტერიტორიაზე გატარების შესაძლებლობაც. აბრეშუმის გზაც ახლო და მით უმეტეს შორეულ პერსპექტივაში დასავლეთთან ურთიერთობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ხდება. ამიტომ დასავლეთი, სახელდობრ, აშშ, დიდი ძალისხმევის დახარჯვის საფასურად ქვეყნის ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობისა და მისთვის სასურველი პრეზიდენტის მოსვლის შემდეგ ახალი თავსატეხის გაჩენის მაგივრად ამჯობინებდა პოტიომკინის სოფლების მსგავსად ფასადური ცვლილებებით დაკმაყოფილებულიყო, რაც შესანიშნავად ეხერხებოდა საქართველოს პრეზიდენტს.

თუ პირველ სათქმელს დავუბრუნდებით, „ნაციონალებმა“ შიშის ზარი დათესეს ქვეყანაში. მართალია, უზნეობა ზეიმობდა, მაგრამ საზოგადოების ნაწილი მაინც ხმამაღლა გამოთქვამდა პროტესტს. „ქართულმა ოცნებამ“ საზოგადოება საბოლოოდ გამოაღვიძა. მძიმე განსაცდელის ჟამს ქვეყანას მოევლინა ბატონი ბიძინა ივანიშვილი, რომელიც დადგა ხალხის გვერდით და აბსოლუტურად უშეცდომო მოქმედებით მზიანი ღამის მოწმენი გავხდით. ნაციონალების სიცრუეზე, მოტყუებაზე, ძალადობაზე, თვალთმაქცობაზე, ყელყელაობაზე აშენებული ხუხულა „ფაჩიკოს გარმონივით“ დაიშალა და ხალხმა არჩევნების მეორე დღესვე შვებით ამოისუნთქა. იმდენად მძიმე და ტრაგიკული ვითარება იყო, რომ არჩევნებიდან 10 დღის შემდეგ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის ანკეტაში როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტუდენტმა ჩაწერა: „უკვე შეიცვალა რაღაც! მე საკუთარ აზრს დავაფიქსირებ! ხელს ვაწერ, არ მეშინია! ეს უკვე შედეგია“. ეს მნიშვნელოვანი ადამიანური დოკუმენტია, რომელიც აშკარად ამხელს „ნაციონალების“ — ნაცისტების მზაკვრობით ღირსებააყრილი და დამცირებული ადამიანების გულისნადებს. ცნობილი მომღერალი თამრიკო ჭოხონელიძე არჩევნების წინა დღებში აღნიშნავდა: „რად მინდა გზები ან შენობები? დაგრეხილ გზებზე მირჩევნია სიარული, ოღონდ ადამიანად ვიგრძნო თავი. ჩემთვის აღარაფერია ახლა ღირებული, არც გზა, არც შუქი და არც შენობები! ვიცი, „ნაციონალებში“ ჩემნაირად მოაზროვნეებზე ამბობენ, ერთი არჩევნები მოგვაგებინა და ნახავთ, თქვენ რას გიზამთო, მაგრამ მე არ მეშინია! ასეთი ცხოვრება და ასეთი სიცოცხლე ასეთ ქვეყანაში აღარ მინდა!“

> **„რად მინდა გზები ან შენობები? დაგრეხილ გზებზე მირჩევნია სიარული, ოღონდ ადამიანად ვიგრძნო თავი. ჩემთვის აღარაფერია ახლა ღირებული, არც გზა, არც შუქი და არც შენობები! ვიცი, „ნაციონალებში“ ჩემნაირად მოაზროვნეებზე ამბობენ, ერთი არჩევნები მოგვაგებინა და ნახავთ, თქვენ რას გიზამთო, მაგრამ მე არ მეშინია! ასეთი ცხოვრება და ასეთი სიცოცხლე ასეთ ქვეყანაში აღარ მინდა!“**

საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი უმნიშვნელოვანესი აქტის — არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შესახებ ახალგაზრდობის განწყობილებების შესწავლის მიზნით კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დემოგრაფიული კვლევის ცენტრის მიერ სტუდენტთა შორის ჩატარდა ანკეტური გამოკითხვა. სტუდენტთა ძირითადი მასივი გამოიკითხა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში, აგრეთვე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ევრო-კავკასიურ უნივერსიტეტში — სულ 302 სტუდენტი. ანკეტაზე ხელმოწერა სავალდებულო არ იყო, მიუხედავად ამისა, სტუდენტთა დიდმა უმრავლესობამ თავისი მოსაზრება ხელის მოწერით დაადასტურა.

საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვებას დადებითად აფასებს 78,8 პროცენტი, უარყოფითად — მხოლოდ 5,3 პროცენტი, ხოლო პასუხის გაცემა გაუჭირდა 15,9 პროცენტს (ჩვენ ქვემოთ მოვიყვანთ მხოლოდ პასუხების პირველი და მეორე ვარიანტების მონაცემებს პროცენტებით. მათი ჯამის შემდეგ, რაც 100 პროცენტამდე დარჩება, ბუნებრივია, არის „მიჭირს პასუხის გაცემის“ ტოლი). ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვებას სტუდენტები ერთხმად დადებითად აფასებენ. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტი თეონა გუგუმბერიძე ამ ფაქტს ჩვენი ხალხის დიდ მიღწევად თვლის და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების თავის მოსაზრებებსაც აფიქსირებს:

**„პირველ რიგში ვულოცავთ მთელ საქართველოს არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლის პრეცენდენტს. ეს დიდი მიღწევაა მთელი საქართველოსთვის. აუცილებელი იყო, ქვეყანაში შეცვლილიყო ხელისუფლება. ვიმედოვნებ, საქართველოში გაიზრდება დემოკრატიული ინსტიტუტები და გააქტიურდება სამოქალაქო საზოგადოება. მხარს ვუჭერ თავისუფალ სიტყვას, პრესისა და კომუნიკაციის საშუალებებში ჩაურევლობას. ჩემი აზრით, აუცილებელია კონსტიტუციის გადახედვა, რომელიც „ჯიბის წიგნაკად“ არის ქცეული. ასევე საჭიროა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების გამიჯვნა“.**

გამოკითხულ სტუდენტთა დიდ უმრავლესობას იმედი აქვს, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვლება. კერძოდ, ასე ფიქრობს გამოკითხულ სტუდენტთა 80,8 პროცენტი. მხოლოდ 5,6 პროცენტი გამოთქვამს ამ მხრივ უიმედობას. სტუდენტებს დიდი იმედი აქვთ, რომ „საქართველოში ნამდვილი დემოკრატია დაისადგურებს“ და იმედი არ გაცრუვდება. სტუდენტთა აზრით, „ბიძინა ივანიშვილი იმედს არ გაგვიცრუებს და უახლოეს ისტორიაში შევა, როგორც საქართველოს ღირსეული ლიდერი და არა შემარცხვენელი, როგორიც იყო მიხეილ სააკაშვილი“.

რესპონდენტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ „ქართული ოცნება“ შეძლებს მოსახლეობისათვის მიცემული დაპირების შესრულებას. ასეთი აზრისაა სტუდენტთა 60,3 პროცენტი, ხოლო საწინააღმდეგო მოსაზრებას სტუდენტების მხოლოდ 4,0 პროცენტი გამოთქვამს. ამასთან გამოკითხული სტუდენტთა ნახევარზე მეტი (50,7 პროცენტი) ფიქრობს, რომ პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ნაციონალებმა“ გააყალბეს არჩევნები, ხოლო 26,8 პროცენტის აზრით, არ გაუყალბებიათ. სტუდენტთა უმრავლესობას (60,0 პროცენტი) აგრეთვე მიაჩნია, რომ „ნაციონალების“ მმართველობის პერიოდში ჩამოყალიბდა ავტორიტარული რეჟიმი, სტუდენტთა 9,9 პროცენტის აზრით კი, ასეთი რეჟიმი არ ჩამოყალიბებულა. ძნელია, არ დაეთანხმო კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტს დათა ცაცუას, რომელიც პირდაპირ აღნიშნავს: „კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვება საპარლამენტო არჩევნებში იყო საქართველოსათვის უდიდესი მოვლენა ქართულ ისტორიაში. დაემხო სააკაშვილის დიქტატურა და გაიმარჯვა დემოკრატიამ, სიბრძნემ, სიმართლემ და საქართველოს მომავალმა. საქართველოში ავტორიტარული რეჟიმის ნაცვლად დამკვიდრდა ხალხის ხელისუფლება“. სწორედ ავტორიტარული რეჟიმის დამკვიდრების შედეგად მოსახლეობას ეშინოდა ხმამაღლა გამოეთქვა თავისი აზრი ხელისუფლების ამა თუ იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც მას არ მოსწონდა. ასე ფიქრობს გამოკითხულ სტუდენტთა 76,8 პროცენტი, ხოლო სტუდენტთა მხოლოდ 13,6 პროცენტს არ ეშინოდა გამოეთქვა თავისი აზრი.

ავტორიტარული რეჟიმის დამყარება განაპირობა უშუალოდ პრეზიდენტის მიერ საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი საკითხების ერთპიროვნულად გადაწყვეტის დამკვიდრების მახინჯმა პრაქტიკამ. ხშირად, თუ ყოველთვის არა, პრეზიდენტის მიერ მიღებულ არასწორ გადაწყვეტილებას მისი გუნდის წევრები ყოველგვარი განსჯის გარეშე ერთ ხმაში აპიარებდნენ. დაუფიქრებლად, ყოველგვარი საზოგადოებრივი განხილვის გარეშე, პრეზიდენტმა სამეგრელოდან განაცხადა, რომ ანაკლიასთან ახლოს ააშენებენ ნახევარმილიონიან ქალაქ ლაზიკას. ამ დროს კი ლაზიკის აშენებასთან დაკავშირებული არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არ იყო განხილული, მათ შესახებ მსჯელობა არ ყოფილა მთავრობის სხდომაზე.

ასევე ერთპიროვნულად წყვეტდა პრეზიდენტი სხვა მეტად მნიშვნელოვან საკითხებს. ერთხელ ტელევიზიაში გამოსვლისას მან აღნიშნა: დაღვლარჭნული შენობები მიყვარსო, მაგრამ იმას კი არ უწევდა ანგარიშს დაღვლარჭნული შენობები სხვას უყვარს თუ არა. ამის შედეგად აივსო საქართველო დაღვლარჭნული შენობებითა და უფუნქციო ხიდებით. გმირთა მოედანზე აღმართული რამდენიმე ათმეტრიანი სვეტი კიდევ პრეზიდენტისა და მისი არქიტექტორის სრულ უგემოვნებასა და უცოდინარობაზე ლაპარკობს. ჯერ ერთი, ამ სვეტთან მისვლა და მასზე მთელ სიმაღლეზე წარწერილი დაღუპულ გმირთა გვარების წაკითხვა შეუძლებელია. მეორეც, სვეტი მოედანზე არ ჯდება ერთიან ანსამბლში. ასეთი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება. როგორც პოლიტიკის, ისე სოციალური თუ კულტურული სფეროდან. ამიტომ სტუდენტთა 63,6 პროცენტის აზრით, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხი წყდებოდა ერთპიროვნულად, უშუალოდ პრეზიდენტის მიერ, ხოლო 13,6 პროცენტის აზრით, — არ წყდებოდა.

> **„ნაციონალებს“ ეჯავრებოდათ განათლებული, მცოდნე ადამიანები. მეტიც შეიძლება ითქვას: ადამიანი მათთვის არაფერს წარმოადგენდა და როგორც უბრალო ნივთს მას ისე ეპყრობოდნენ. თავად აბსოლუტურად გაუნათლებლები ცოდნის ტაძრიდან ერეკებოდნენ ცნობილ მეცნიერებს, განათლებულ ადამიანებს, მათ „ხულიგნებად“ მოიხსენიებდნენ, წარსულის გადმონაშთებსა და ჩარეცხილებს უწოდებდნენ ერის ყველაზე ღირსეულ ნაწილს. ასე იქცეოდა მაღალ ტრიბუნას ხელჩაჭიდებული პრეზიდენტი და მისი ბანდა.**

სტუდენტები განიცდიან ქვეყანაში დამკვიდრებულ უკანონობას, რომელიც ფაქტობრივად ერთი კაცის დამყარებული ავტორიტარული რეჟიმის შედეგია, რომელიც, თავის ბანდასთან ერთად, „სპობდა თავისუფალ აზრს“. ევრო-კავკასიური უნივერსიტეტის სტუდენტი გიორგი პატაშური სამართლიანად აცხადებს: „რაც საქართველოში ხდებოდა, ეს დემოკრატიას მოკლებული, მხოლოდ სააკაშვილის სიტყვაზე დაფუძნებული უკანონობები იყო. ივანიშვილი ლიდერი ადამიანია, მჯერა მისი და ვიმედოვნებ, რომ ქვეყანას წარმატებას, ეკონომიკურ წინსვლას მოუტანს. უნდა დამთავრდეს ნაციონალების „ხეტიალი“ საქართველოში“.

საინფორმაციო საშუალებებით უამრავი ცნობა გავრცელდა იმის შესახებ, რომ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლება წინასწარგანზრახულად იჭერდა უდანაშაულო ადამიანებს. ბევრმა ოჯახმა თავის თავზე იწვნია ეს საშინელი ტრაგედია. გამოკითხულ სტუდენტთა 68,9



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

პროცენტმა მიუთითა, რომ ხელისუფლება წინასწარგანზრახულად იჭერდა უდანაშაულო ადამიანებს და მხოლოდ 6,6 პროცენტმა მიუთითა ამ პასუხზე უარყოფითად. სტუდენტების აზრით, უდანაშაულო ადამიანებს ხელისუფლება იჭერდა ხალხის მორჩილებაში ყოფნის, დაშინების მიზნით (67,9 პროცენტი); ქონების ჩამორთმევისა და მითვისების მიზნით (53,3 პროცენტი); ხელისუფლებისადმი მკვეთრად დაპირისპირების გამო (54,3 პროცენტი). რესპონდენტებმა უდანაშაულო ადამიანების დაჭერის მიზეზად დაასახელეს, აგრეთვე, მიშას ხუშტური: განსხვავებული აზრის, განათლებული ადამიანებისადმი შიში; პირადი ინტერესები; პოლიტიკური მიზანი; პირადი ანგარიშსწორება; ბიუჯეტის გაზრდის მიზანი და სხვ. (ამ კითხვაზე რესპონდენტს შეეძლო შემოეხაზა პასუხის რამდენიმე ვარიანტი. ამიტომ პასუხების ჯამი 100 პროცენტზე მეტია).

ქართველმა საზოგადოებამ არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ციხეებში პატიმართა წამების შემაძრწუნებელი ფაქტები იხილა. ბუნებრივად ისმება კითხვა: პატიმართა წამების ასეთ ფაქტებს სასჯელაღსრულების ყველა მაღალჩინოსანი მალავს და მით უმეტეს არ გადაიღებს, თუ შესაბამისი ვიდეომასალა განკუთვნილი არ არის მაღალი თანამდებობის პირისთვის დავალების შესრულების დასადასტურებლად. ჩვენ ისიც ვიცით, რომ პრეზიდენტი ქურდული მენტალიტეტის მატარებელი ყველა ადამიანის სასტიკად დასჯას მოითხოვდა, სახელდობრ, თუნდაც ვინც იტყოდა, რომ ქურდი იყო. პატიმართა წამების კადრებში არის ამ ფაქტების ამსახველი სცენები. კერძოდ, როდესაც პატიმარს უმოწყალოდ სცემენ და ეუბნებიან: აბა, ახლაც თქვი ქურდი ვარო და ახალგაზრდაც, სანამდე შეეძლო წამებისათვის გაძლება, იძახდა ქურდი ვარ, ქურდი ვარო. საზოგადოებას მიაჩნია, რომ ამ კადრებს იღებდნენ ბაჩო ახალაიას დავალებით, რომელიც შემდეგ პრეზიდენტს აჩვენებდა, თუ როგორ ზედმიწევნით სრულდებოდა მისი დავალება. სტუდენტთა გამოკითხვამაც ეს ვარაუდი დაადასტურა. გამოკითხულ სტუდენტთა 64,2 პროცენტს მიაჩნია, რომ პატიმრების წამება ორგანიზებული იყო ხელისუფლების მიერ, ხოლო 10,3 პროცენტს არ მიაჩნია. ამასთან, სტუდენტთა 56,3 თვლის, რომ საქართველოს პრეზიდენტს ნანახი ჰქონდა პატიმრების წამების ამსახველი ვიდეომასალა, სტუდენტთა მხოლოდ 15,2 პროცენტია საწინააღმდეგო მოსაზრების. სტუდენტთა აღშფოთება და გულისტკივილი პატიმართა წამების გამო კარგად გამოხატა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტმა თამარ მიქავამ: „ჩვენს ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა აღგვაშფოთა როგორც სტუდენტები, ასევე საზოგადოების დიდი ნაწილი. კერძოდ, პატიმრებზე განხორციელებულმა შეურაცხმყოფელმა ფაქტებმა შეგვძრა სულითხორცამდე და ყოველგვარი შიშის ბარიერი დაირღვა საზოგადოებაში. ყველაზე ამორალური რამ ვიხილეთ და ღირსებააყრილ ადამიანებად ვიგრძენით თავი. არც ერთ მტერს, თუნდაც ყველაზე საშინელს ჩვენს ისტორიაში, მონღოლებს არ შეურაცხუყვია მამაკაცის ღირსება საქართველოში, როგორც ეს ამ ხელისუფლებამ გააკეთა. ქართველ კაცს თავს სჭრიდნენ და არ აუპატიურებდნენ. დღეს მრცხვენია, რომ ქართველებმა დავუშვით აქამდე მიგვეყვანა საქმე“. იმავე აზრისაა სტუდენტი მამია ქასოშვილი: „ჩემი აზრით, წინა ხელისუფლების დროს იყო სიტყვის თავისუფლების 100 პროცენტით შეზღუდვა, იყო უსამართლობა და განუკითხაობა მთელ საქართველოში. ყოფილმა მთავრობამ მოახდინა სასამართლო სისტემის დაკნინება, რამაც გამოიწვია უამრავი უდანაშაულო ადამიანის დაპატიმრება. ქვეყანას მართავდა რამდენიმე ადამიანი“. ძნელია, ამ სტუდენტების მოსაზრებას არ დაეთანხმო.

**გამოკითხულ სტუდენტთა 64,2 პროცენტს მიაჩნია, რომ პატიმრების წამება ორგანიზებული იყო ხელისუფლების მიერ, ხოლო 10,3 პროცენტს არ მიაჩნია. ამასთან, სტუდენტთა 56,3 თვლის, რომ საქართველოს პრეზიდენტს ნანახი ჰქონდა პატიმრების წამების ამსახველი ვიდეომასალა, სტუდენტთა მხოლოდ 15,2 პროცენტია საწინააღმდეგო მოსაზრების.**

ნაციონალურმა მოძრაობამ მრავალი უმსგავსო საქმის ჩადენა მოასწრო ამ ცხრა წლის განმავლობაში. ერთ-ერთი მათ შორის იყო ახალგაზრდობის დაპირისპირება უფროს თაობასთან. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე „ნაციონალებმა“ სამინისტროებსა და უწყებებში, უკლებრივ ყველას დააწერინეს განცხადება სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ. თანამდებობებზე დანიშნეს სრულიად გამოუცდელი, არც ისე იშვიათად უცოდინარი ახალგაზრდები. უფროსი თაობა მეტად მტკივნეულად განიცდის იმას, რომ არ მისცეს საშუალება, მთლიანად დაეხარჯა თავისი შესაძლებლობები ქვეყნისა და ოჯახის სასარგებლოდ — შუა გზაზე გააჩერეს. ვერ გამოვიყენეთ ასეულ ათასობით ადამიანის ნიჭი, უნარი, შუახანს მიღწეულთა და ხანშიშესულთა გამოცდილება, სიდინჯე, მოკლედ ის, რასაც ჩვენი წინაპრები „კეთილსა მოხუცებულობისა გონებისასა“ უწოდებდნენ. ძველი ბერძენი მოაზროვნის პითაგორას კლასიფიკაციის მიხედვით, 60 წლის ასაკში დგება ადამიანის ძალებისა და შესაძლებლობების აყვავების ხანა. მაგრამ ვინ დააცალა ადამიანებს აყვავების ხანის ნაყოფიც ეხილათ? ძველი რომაელი მოაზროვნე და ორატორი ციცერონიც აღნიშნავდა, რომ მაღალ ასაკში იწყება ნაყოფის შეგროვების ხანა. ცხოვრება ისე წარიმართა, რომ თითქმის მთელ მოსახლეობას, და განსაკუთრებით უფროს თაობას, არსებობისთვის უხდება ბრძოლა, მოკლებულია მთავარს — სულიერ ცხოვრებას — მას ამისათვის აღარ სცალია, არც საშუალება აქვს და ცხრა წელია, წინასწარგანზრახულად ხელსაც უშლიდნენ. მაგრამ რას იზამ, პოლიკარპე კაკაბაძის არ იყოს, ზოგის ტანი იზრდება და ზოგის კიდევ ჭკუა. ახლაც, არჩევნებამდე ორი თვით ადრე, ვიღაც ზურაბ არსოშვილმა პოლიტიკური მოტივებით სამუშაოდან დაითხოვა „თელასში“ მომუშავე უამრავი ადამიანი. ამ უმუშევრობის დროს ზეწოლით თანამშრომლებს დააწერინეს სამსახურიდან განთავისუფლების განცხადებები. ამის გამო ზ. არსოშვილს არა მარტო სამუშაო უნდა დაატოვებინონ, არამედ იგი პასუხისგებაში უნდა მისცენ სამსახურებრივი თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის, რათა ასეთი უმსგავსობა არც ერთ მანიაკს თავში აღარ მოუვიდეს. სწორედ აღნიშნული ფაქტების გამო სტუდენტთა 57,3 პროცენტმა აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ ერთმანეთს დაუპირისპირა ახალგაზრდობა და უფროსი თაობა, ხოლო 23,2 პროცენტის აზრით არ დაუპირისპირებია.

სტუდენტებს არც ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების საგარეო პოლიტიკური კურსი მოსწონთ — 53,6 პროცენტი, მხოლოდ 28,5 პროცენტი იყო ამ კითხვაზე დადებითი აზრის. ნიშანდობლივია, რომ სტუდენტთა დიდ უმრავლესობას, კერძოდ, 79,5 პროცენტს მიაჩნია, რომ არ უნდა გაგრძელდეს ავღანეთში ჩვენი ჯარისკაცების გაგზავნა, სტუდენტთა მხოლოდ 8,6 პროცენტი უჭერს მხარს ამ ღონისძიებას.

ამრიგად, სტუდენტებმა მეტად კრიტიკულად შეაფასეს „ნაციონალური მოძრაობის“ ცხრა წლის საქმიანობის ზოგიერთი მხარე. ცხრა წელი ამ მოძრაობამ ფაქტობრივად ამოაგდო ჩვენი ცხოვრებიდან. სტუდენტების 39,1 პროცენტის აზრით, ნაციონალურმა მოძრაობამ აუცილებლად უნდა დატოვოს პოლიტიკური ასპარეზი, 25,8 პროცენტის აზრით — უნდა დატოვოს, ხოლო 23,2 პროცენტის აზრით — არ უნდა დატოვოს. ჩვენი მხრიდან უნდა დავამატოთ, რომ „ნაციონალებმა“ არათუ აუცილებლად უნდა დატოვონ პოლიტიკური სივრცე, არამედ მათი პარტია, როგორც ფაშისტური პარტია, აუცილებლად უნდა აიკრძალოს, ხოლო „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები უნდა გასამართლდნენ. სტუდენტებიც აღნიშნავენ, რომ ცხრა წელი ჩვენ ვცხოვრობდით ტერორსა და უსამართლობაში. გარდა ამისა, აუცილებელია, დეტალურად გაანალიზდეს ნაციონალების მთელი საქმიანობის ცხრა წელი და გამოიცეს ცალკე წიგნად, რათა უფრო ნათლად დავინახოთ ვარდებით მოსული ბოროტი ყვავილების ნამდვილი სახე.

დასასრულ, მინდა მადლობა მოვახსენო ცნობილ მოღვაწეს, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამფუძნებელსა და დირექტორს ბატონ ვახტანგ წივწივაძეს, რომელმაც სოციალური გამოკვლევის ჩატარებაში დიდი დახმარება აღმოგვიჩინა.



**ანზორ თოთაძე,**
**პროფესორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დემოგრაფიული კვლევის ცენტრის დირექტორი**

ინტერნეტიდან

# „სახლში მაქვს ლამპა შემონახული და ხომ არ გავუგზავნო პრეზიდენტს?“

***პრეზიდენტის ადმინისტრაცია, ადმინისტრაციისთვის ხარჯების შემცირების გამო, იძულებული გახდა პრეზიდენტის სასახლის განათება გამორთოს. ამის შესახებ ნათქვამია პრეზიდენტის პრესსპიკერის მანანა მანჯგალაძის განცხადებაში, რომელიც პრეზიდენტის ვებგვერდზე გავრცელდა.***

***„იმის გამო, რომ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას ახალი ბიუჯეტის მიხედვით დაფინანსება შეუმცირდა, მიღებულია გადაწყვეტილება, მიგვემართა იძულებითი ღონისძიებებისათვის და პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიმდებარე ტერიტორიაზე განათება, გარდა დაცვისთვის განკუთვნილი პერიმეტრისა, რომელიც უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია, გამოგვერთო.***

***ძირითადი ხარჯები ეხება გარე განათებას, რაც, თავის მხრივ, ჩვენი დედაქალაქის გალამაზებას ემსახურებოდა, მაგრამ ახალი ბიუჯეტის გამო, იძულებულნი ვართ, განათება გამოვრთოთ“, — აღნიშნულია განცხადებაში.***

***შალვა რამიშვილის ფეისბუქზე ასეთი კომენტარები გაჩნდა:***

„იმდენი იძახა მიშამ, წარსულში დავბრუნდებითო, რომ ბიძომ აუსრულა!“

„ბნელშია“ დიდი ხანია“.

„9 წელი ჩვენ გვამყოფა ბნელში, ცოტა თვითონაც გაიჭირვოს!“

„არა უშავს, მალე „დააღწევს“ თავს ბნელსაც და საქართველოს პრეზიდენტობასაც...“

„ჰა, ჰა, ჰა, გარეთ კი არა, შიგნით გამორთონ შუქი, უსაქმურს ბევრი დენი არ სჭირდება.“

„ციხეშიც ბნელა და შეეჩვევა!“

„აბა, როგორ? სადაც ხალხი, იქ პრეზიდენტიც...“

„აქამდე ხო ნათელში იყო მისი გონება.“

„ბნელში ჯდომა უწევს საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, არა იმიტომ, რომ შუქი არ არის, არამედ იმიტომ, რომ ვერ იხდის დახარჯული ენერგიის საფასურს...“

„თავის სამყოფს გაინათებს და გამორთავს იმას, რაც ქალაქს ალამაზებდა. პარაზიტია ნამდვილი.“

„გაიხსენოს ინგლისის დედოფლის მაგალითი.“

„მე ძალიან მომწონდა განათებული სასახლე, სამწუხაროა, რომ ასე გაღიზიანებდათ თქვენ...“

„ჯერ სად ხართ!“

„ბნელში უფრო კომფორტულია მიშა ვერასთან...“

„რატომ დავით? თუკი ჩვენ, მოსახლეობა, საკუთარ დანახარჯ დენს საკუთარი ჯიბიდან ვიხდით, რატომ უნდა დაუფინანსოს პრეზიდენტს მთავრობამ დენის დანახარჯი? რა, ჩვენზე ნაკლები შემოსავალი აქვს? ან რა საჭირო იყო ამხელა სასახლის აგება? თვითონ არ იძახდა, ქვეყანას უჭირს და ხარჯები უნდა დავზოგოთო? ეს არის ხარჯების დაზოგვა? ახალი პარლამენტი? ისიც ხარჯების დაზოგვაა? ამ ორი პროექტის ღირებულებით რამდენი რამის გაკეთება შეიძლებოდა, აბა, დაიანგარიშეთ?“

„ახლა გამოვა და იტყვის“, ლამპის შუქზე ვმუშაობო. არავის არ უთქვამს, გარე განათება გამორთეო.“

„ყველაფერს გაუძლებს ჩვენი პრეზიდენტი! ჭრაქზეც იმუშავებს, ოღონდ ქვეყანა აალორძინოს...“

„დვიჟოკი ხომ არ მივუტანოთ?“

„მილიონობით ადამიანი გაჭირვებით იხდის დენის გადასახადს, მაგათ ხელში რამდენი ადამიანი დაზარალდა და სულ არ მეწყინება, უკუნეთშიც რომ ისხდნენ.... ახლა არ დამიწყოთ აგრესიული ხარო...ნამდვილად ვარ მაგათ მიმართ!“

„ეს მანამდეც უნდა გაეკეთებინათ! არ იყო საჭირო საახალწლო ნაძვის ხესავით ზედმეტად ქალაქის გადაკაშკაშება, როცა ბევრი დენის გადასახადს ძლივს ფარავდა. მაგრამ ამჯერად იმედია, მეორე უკიდურესობაში არ გადავარდებიან და სულ არ ჩაგვაბნელებენ! ყველაფერში გონივრული ზომიერებაა საჭირო!“

„მე მაქვს ბევრი ლამპა შემონახული და ხომ არ გავუგზავნო პრეზიდენტს?“

„სანთლებზე იმუშავებს ჩვენი პრეზიდენტი „ოცნების“ ჯინაზე და ქვეყანას არ ჩამოშლის მაინც..“

„ვინ გითხრათ, რომ მარტო ბიუჯეტში შენატანია ხალხის საკუთრება? 12 მილიარდი ვალი, რომელიც ამათ წამოკიდეს ქვეყანას, ვინ უნდა გადაიხადოს? ქვეყანა ხალხის საკუთრებაა და თითოეული კაპიკი უნდა გაკონტროლდეს ხალხის მიერ.“

„ბუკინჰემის სასახლეში დედოფალი სიბნელეში და სიცივეში იჯდა, როცა ქვეყანას უჭირდა...“

„საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა, დიდი ხანია საკუთრ სახლში აღარ ანთებს სინათლეს ეკონომიის მიზნით. გადასახადებმა ისე დაგვახრჩო და ესენი გარე განათებაზე წუწუნებენ.“

**ნატა ნიბლაძე**

ინფორმაცია

## სასამართლოში, შესაძლოა, ფოტო და ვიდეოგადაღება ისევ დაუშვან

**სასამართლოში, შესაძლოა, ფოტო და ვიდეოგადაღება ისევ დაუშვან, — ამის შესახებ კანონში ცვლილების ინიციატივით იუსტიციის სამინისტრო გამოდის. კანონპროექტის პრეზენტაცია სასტუმრო „რედისონში“ მიმდინარეობდა. კანონპროექტის მიხედვით, სასამართლო ვალდებულია, უზრუნველყოს სასამართლო პროცესის აუდიოვიდეო ჩაწერა. გარდა ამისა, როგორც იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ბარამიძე აცხადებს, სასამართლო პროცესის მიმდინარეობის ფოტოვიდეოგადაღების უფლება ასევე შეუზღუდავად შეეძლება საზოგადოებრივ მაუწყებელს.**

**„საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილია, შეუზღუდველად განახორციელოს სასამართლო პროცესის ფოტოგადაღება, კინო, ვიდეო და აუდიო ჩაწერა და ტრანსლაცია გარდა იმ შემთხვევისა, რაზედაც სასამართლოს მიერ გამოტანილია განჩინება სხდომის ნაწილობრივ, ან სრულად დახურვის თაობაზე. მაუწყებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ჩანაწერის გადაცემა მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებისთვის მათი მოთხოვნისთანავე. სასამართლოს თანხმობით სასამართლოს სხდომის ფოტოგადაღება, კინო, ვიდეო და აუდიოჩაწერის უფლებამოსილება ასევე აქვთ მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე. ეს უფლება, შესაძლოა, შეიზღუდოს სასამართლოს მოტივირებული განაჩენით“, — ნათქვამია კანონპროექტში, რომლის მიხედვითაც ცვლილება „საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში“ უნდა შევიდეს.**

## სოსო რობაქიძემ პროკურატურას განცხადებით მიმართა

**სოსო რობაქიძე შვილის ბუტა რობაქიძის მკვლელობის ფაქტზე გამოძიების თავიდან დაწყებას ითხოვს. აღნიშნული მოთხოვნით გუშინ ბუტა რობაქიძის მამამ სოსო რობაქიძემ და ადვოკატმა ალექსანდრე ალადაშვილმა მთავარ პროკურატურაში განცხადება შეიტანეს. როგორც სოსო რობაქიძემ განაცხადა, ოჯახი ითხოვს დაისაჯონ, ზურაბ ადეიშვილი, გურამ დონაძე, ქალაქის მაშინდელი პროკურორი გიორგი ღვინიაშვილი, დიდუბე-ჩუღურეთის პროკურორი ირაკლი წერეთელი, რომელიც ამ საქმეს იძიებდა და ასევე თბილისის პოლიციის უფროსი ზურაბ მიქაძე.**

**მისი თქმით, იმის გამო, რომ მიხეილ სააკაშვილმა თავის დროზე გამოაცხადა ნულოვანი ტოლერანტობა დამნაშავეების მიმართ, არაერთი ახალგაზრდა ჩაცხრილეს ქუჩაში სამართალდამცავებმა.**

ინტერპრესი

№216. პარასკევი, 9 ნოემბერი, 2012 წელი.

## ◉ კონკრეტული ნაბიჯები როდის იქნება?

რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების გაუმჯობესების შესახებ საქართველოს ახალი ხელისუფლების ინიციატივასა და მასზე რუსული მხარის რეაქციაზე, ასევე ახლო მომავალში თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობების პერსპექტივებზე „ინტერპრესნიუსი“ რუს პოლიტოლოგს, პროფესორ **ბორის სოკოლოვს** ესაუბრა.



2008 წლის სექტემბერში პროფესორი ბორის სოკოლოვი მოსკოვის უნივერსიტეტიდან პრეზიდენტ მედვედევის ადმინისტრაციიდან განხორციელებული ზარის შემდეგ იმის გამო გაათავისუფლეს, რომ მან რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას სტატია „წაგლეჯა სუდეტურად“ მიუძღვნა და რუსეთის მოქმედება სუდეტის ოლქთან მიმართებაში ჰიტლერის ქცევას შეადარა.

# ბურთი ახლა რუსეთის მოედანზეა...

**— ბატონო ბორის, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში რომ აბსოლუტური ჩიხია, ფაქტია, მაგრამ საქართველოს ახალმა პრემიერ-მინისტრმა რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში სპეცწარმომადგენლად ზურაბ აბაშიძის დანიშვნით პირველი ნაბიჯი გადადგა. თქვენ როგორ შეაფასებდით ქართული მხარის მიერ გადადგმულ ნაბიჯს და მასზე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის ალექსანდრე ლუკაშევიჩის განცხადებას იმის თაობაზე, რომ მოსკოვი თბილისისგან „კონკრეტულ ნაბიჯებს“ ელის? თქვენი აზრით, სავარაუდოდ, რა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას ელოდება მოსკოვი თბილისისგან?**

— ჩემი აზრით, თბილისმა განჭვრეტადი ნაბიჯი გადადგა, მაგრამ მეჩვენება, რომ რუსეთი საქართველოსთან რეალური ნორმალიზაციისთვის გადასადგმელ საპასუხო ნაბიჯების გადადგმას მხოლოდ სააკაშვილის ხელისუფლებიდან საბოლოოდ წასვლის შემდეგ დაიწყებს. მაგრამ თუ მოსკოვი ამგვარ ნაბიჯებს სააკაშვილის წასვლის შემდეგაც არ გადადგამს, ამაზე საუბარი ნაადრევია.

რა თქმა უნდა, რუსეთს, ალბათ, უნდა კიდეც ჩვენ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა, მაგრამ საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ უკვე გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ ვიდრე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების ოკუპაცია გრძელდება, საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე საუბარი არც შეიძლება იყოს. აშკარაა, რომ მოსკოვი თბილისისგან, სულ მცირე, თვითგამოცხადებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკებთან მოლაპარაკებების დაწყებას ელოდება.

**— მას შემდეგ, რაც საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ რუსეთის მიმართულებით ნაბიჯი გადადგა, ქართული საზოგადოების გარკვეულ ნაწილში იყო იმის მოლოდინი, რომ რუსეთი ქართულ ინიციატივას აიტაცებდა. საქართველოსთან დაკავშირებით რუსეთის საგარეო უწყების ოფიციალური წარმომადგენლის ალექსანდრე ლუკაშევიჩის განცხადების შემდეგ შეიძლება კიდევ ჩაითვალოს, რომ „ბურთი ახლაც რუსეთის მოედანზეა“?**

— ვფიქრობ, რომ ბურთი ახლაც რუსეთის მოედანზეა, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი საქართველოსთვის მის დაბრუნებას ჯერ არ აპირებს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ რუსეთს სურს, დააკვირდეს, თუ როგორი ურთიერთობები ჩამოუყალიბდება საქართველოს ახალ ხელისუფლებას აშშ-სთან და ნატოსთან. არ გამოვრიცხავ, რომ მოსკოვი თბილისთან დამოკიდებულებაში იმის შესაბამისად იმოქმედებს, როგორი ურთიერთობები ექნება საქართველოს ნატოსთან და აშშ-სთან. ამასთან, არ გამოვრიცხავ, რომ მოსკოვი მხოლოდ იმ შემთხვევაში იმოქმედებს, თუ თბილისის ახალ ხელისუფლებას აშშ-სთან კარგი ურთიერთობები ჩამოუყალიბდება. შესაძლოა, ასეთ ვითარებაში რუსეთმა თბილისთან დამოკიდებულებაში იმგვარი ნაბიჯებიც კი გადადგას, რომ საქართველო გადაიბიროს.



თუ საქართველოსა და აშშ-ის შორის ურთიერთობები გაუარესდა, რუსეთი საქართველოსთან მიმართებაში არც კი იმოქმედებს.

**— ბრძანეთ, მოსკოვი თბილისისგან, სულ მცირე თვითგამოცხადებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკებთან მოლაპარაკებების დაწყებას ელოდება...**

— დიახ. რამდენადაც მახსოვს, 2008 წლის აგვისტოს ომამდე თბილისსა და სოხუმს და თბილისსა და ცხინვალს შორის დიალოგი და მოლაპარაკებების გარკვეული ფორმატი არსებობდა.

**— საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში თავის სპეცწარმომადგენლად ზურაბ აბაშიძის დანიშვნისას განაცხადა, რომ ამ ეტაპზე საუბარია რუსეთსა და საქართველოს შორის ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების აღდგენაზე. მას შემდეგ, რაც რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრდა და აიღო ვალდებულება, მსოს წევრ ქვეყნებთან ჰქონდეს ცივილიზებული ეკონომიკური ურთიერთობები, რუსეთსა და საქართველოს შორის ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენა ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის გარეშეც შეუძლებელია?**

— ჩემი აზრით, ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენა დიპლომატიური ურთიერთობების გარეშეც შესაძლებელია. შეიძლება, რუსეთმა საქართველოსთან ურთიერთობების გაუმჯობესება საქართველოსთვის დაწესებული ეკონომიკური სანქციების მოხსნიდან დაიწყოს.

**— მას შემდეგ, რაც საქართველომ რუსეთისკენ პირველი ნაბიჯი გადადგა, თბილისში იყო გარკვეული მოლოდინი იმისა, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს საქმეებთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფს შექმნიდა, რუსეთის პრემიერ-მინისტრი ანაც პრეზიდენტი თბილისის მსგავს ნაბიჯს გადადგამდა. რამდენად რეალური იყო ამგვარი ნაბიჯების მოლოდინი?**

— მეჩვენება, რომ უახლოს მომავალში ამგვარი მოლოდინები არარეალურია. ჩემი აზრით, რუსეთს სურს დააკვირდეს, თუ როგორი იქნება საქართველოს ახალი ხელისუფლების პოლიტიკა, როგორი ურთიერთობა ჩამოუყალიბდება მას აშშ-სთან, ნატოსთან და, საერთოდ, დასავლეთთან.

**— საქართველოს ახალ მთავრობაში რეინტეგრაციის მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა განაცხადა, რომ ქართული მხარე მზად არის, აღადგინოს სარკინიგზო მიმოსვლა აფხაზეთის გავლით. ამ თემაზე რუს ექსპერტებსაც არ გაუმახვილებიათ ყურადღება. უნდა ვივარაუდოთ, რომ მოსკოვი არ არის დაინტერესებული აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაში?**

— ჩემი აზრით, მოსკოვი ამაში განსაკუთრებულად დაინტერესებული არ არის. რუსეთს რკინიგზის ეს მონაკვეთი მხოლოდ საქართველოში შეჭრისთვის სჭირდებოდა.

**— რჩება შთაბეჭდილება, რომ ქართული მხარის აქტივობისა და მასზე რუსეთის საგარეო უწყების ოფიციალური წარმომადგენლის ლუკაშევიჩის განცხადების შემდეგ მხარეებმა ტაიმ-აუტი აიღეს. თქვენი აზრით, შექმნილ ვითარებაში, სავარაუდოდ, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?**

— ჩემი აზრით, უახლოეს ორსამ თვეში არაფერიც არ მოხდება.

**— რას იტყოდით რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში სპეცწარმომადგენლად საქართველოს პრემიერ-მინისტრ ივანიშვილის მიერ დანიშნულ დიპლომატ ზურაბ აბაშიძეზე?**

— ამას ახლა პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს. ამ თანამდებობაზე რუსეთისთვის უცნობი პიროვნებაც რომ იყოს დანიშნული, პრობლემა იმ შემთხვევაში არ იარსებებდა, თუ რუსეთს საქართველოსთან ურთიერთობის სურვილი ექნებოდა. ჯერ კი, რუსეთის მხრიდან ამგვარი სურვილი არ შეიმჩნევა. აშკარაა, რომ მოსკოვმა ცოტა დახანება ამჯობინა.

**კობა ბენდელიანი**

## დედამიწის ზურგზე

### ლონდონის ბარში მიმსვლელმა 40 ათასი გირვანქა დახარჯა, რომ შთაბეჭდილება მოეხდინა გვერდით მჯდომ ბენისიო დელ ტოროზე



ბირჟის დილერმა, რომელიც ჰელოუინის კომპანიასთან ერთად ზეიმობდა, დაიწყო წყნარად — შეუკვეთა რამდენიმე კოქტეილი რომისგან, აბსენტისა და გრეიპფრუტის წვენისგან 30 გირვანქად. მაგრამ შემდეგ ბარში შემოვიდა ცნობილი მსახიობი და დაჯდა მეზობელ მაგიდასთან, რის შემდეგაც ტრანჟირთა ჯგუფი გაოგნდა. ჰოლივუდელი მსახიობი კი ამ დროს საკმაოდ თავმდაბლად იქცეოდა და შესვა მხოლოდ ორი კოქტეილი.

### ჩინეთი ხელმძღვანელობის შეცვლის ზღვარზე: პარტიის ყრილობა გამოავლენს „კლანების ომის“ გამარჯვებულებს



კომუნისტური პარტიის ყრილობის შვიდი დღის მუშაობის შედეგად არჩეული იქნებიან ცენტრალური კომიტეტის ახალი წევრები. გვპირდებიან კონკურენტულ არჩევნებს და ფარულ კენჭისყრას, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ ქვეყანა მიიღებს „არატრადიციულ“ ლიდერს. მიმავალი ხუ ძინტაო გამოვიდა ყრილობაზე მოხსენებით: განაცხადა, თუ როდის მიაღწევს ჩინეთი სიძლიერეს და დარიგებაც არ დაიშურა, რამაც, შეიძლება, შეაშინოს მეზობლები და დასავლეთი.

### რუსეთი განგაშით ელოდება ჰილარი კლინტონის მემკვიდრეს, ეშინია ახალი „რკინის ლედისა“ ცნობილი გვარით



მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა დაადასტურა, რომ გადადგება, მისი მემკვიდრის როლზე გაჩნდა უმალვე ორი კანდიდატურა — სენატორი ჯონ კერი და ელჩი გაეროში სიუზან რაისი. ამავე დროს ბარაკ ობამას შეუძლია გააკეთოს რევერანსი რესპუბლიკელების მხარეზე და დანიშნოს მათი კანდიდატი, თუმცა ამ პარტიის წარმომადგენლები შორტ-ფურცელზე თითქოს არ არიან.

### ნიუ-იორკში თოვის პირველ რვა საათში მოვიდა ნალექების თვიური ნორმის მესამედი



ყოველივე ამას თან ახლდა ძლიერი ქარი, რომლის ძალაც ზოგან საათში 70 კილომეტრს აღწევდა. შედეგად შეერთებული შტატების უდიდესი მეგაპოლისი საღამოსთვის გიგანტურ საცობში აღმოჩნდა. სიტუაცია რთულდება კიდევ იმით, რომ ჰაერის ტემპერატურა დაეშვა ნულ გრადუსამდე, და გზებზე წარმოიშვა უწესრიგობანი.

### აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი: ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები მზად არიან, მიიღონ ასადი და მისი ოჯახი



„ამბის არსი არის ის, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ აშკარად აცნობა“ სირიის პრეზიდენტს, რომ „მზად არიან მიიღონ იგი. მას ურჩევნია არ გამოიყენოს ეს შესაძლებლობანი“, — დააკონკრეტა სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურის უფროსმა. იმ სახელმწიფოთა დასახელებაზე, რომლებიც, სავარაუდოდ, მზად არიან მიიღონ ასადი, პრესმდივანმა კატეგორიული უარი განაცხადა.





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ პოზიცია



# მინდა, სამართალმა კიდევ ერთხელ ჭამოს პური

**ბოლო დროს ქვეყანაში მომხდარმა უდიდესმა საზოგადოებრივმა და პოლიტიკურმა ძვრებმა ჩვენი სარედაქციო ფოსტა საგრძნობლად გაზარდა, რაც მოქალაქეთა აქტიური სოციალური პოზიციითაა განპირობებული. მათ შორის რამდენიმე საგანგებოდ გამორჩეული შინარსისაა, რომლის გაცნობა, ვფიქრობთ, მკითხველთათვის ნამდვილად საინტერესო იქნება. ერთ ასეთ წერილს ამჟამად გთავაზობთ. მისი ავტორი, ბატონი თეიმურაზ ონიანი დიდად გამოცდილი იურისტი გახლავთ, რომელმაც წლების მანძილზე სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე იმუშავა საქართველოს პროკურატურის სისტემაში — იყო განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი, ერთ-ერთი რაიონის, შემდეგ ამიერკავკასიის ტრანსპორტის პროკურორი, თბილისის პროკურორის მოადგილე. ამჟამად საადვოკატო და პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა.**

სულ ვფიქრობდი, რომ ქართულ პოლიტიკაში საჭირო იყო ახალი, ძლიერი პიროვნების გამოჩენა და ღმერთმა ამ ძნელბედობის ჟამს ქვეყნის გადასარჩენად ბატონი ბიძინა ივანიშვილი მოავლინა, რომლის ხელმძღვანელობითაც ქართველმა ხალხმა დემოკრატიის გზაზე უზარმაზარი ნაბიჯი გადადგა.

სააკაშვილი და მისი მომხრეები უსირცხვილოდ აცხადებენ, თითქოს მათმა კეთილმა ნებამ მოუტანა გამარჯვება ქართველ ხალხს. მათ ავიწყდებათ, ან არ უნდათ გაიხსენონ, თუ რა უბედურ დღეში ჩააყენა საქართველოს მოსახლეობა ამ დამნაშავე რეჟიმმა, ან არ უნდათ აღიარონ, ან ვერ გრძნობენ, რომ საქართველოს მოსახლეობამ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ერთიანად შეიძულა. მისი წარმომადგენლები დღეს ბევრ რამეს რატომღაც „ვერ იხსენებენ“, ამიტომ მათ უნდა შევახსენოთ, თუ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე როგორ დაითხოვეს ყოვლად უსაფუძვლოდ სამსახურებიდან ათასობით პატიოსანი მუშაკი, როგორ უკანონოდ დააპატიმრეს უამრავი პიროვნება, როგორ უკანონოდ ჩამოართვეს მოქალაქეებს ქონება, როგორ მხეცურად მოკლეს გირგვლიანი, ვაზაგაშვილი, რობაქიძე, შარაძე, როგორ ჩაცხრილეს აფრასიძეების ოჯახი, როგორ მოკლეს თავიანთი თანაგუნდელი ჟვანია.

მათ იმასაც შევახსენებ, თუ რა ენით აუწერელი საშინელებები ხდებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, რა განუკითხაობა იყო სამართალდამცავ ორგანოებში, რომლებიც, ფაქტობრივად, გადაიქცნენ „სამართალდამრღვევ“ ორგანოებად. სასამართლო, ფაქტობრივად, ხომ აღარც არსებობდა, არ იყო არც საქმეთა სამართლიანი გამოძიება. მათ უნდა შევახსენოთ ნაცემი, უდანაშაულო ხალხის სისხლით მორწყული რუსთაველის პროსპექტი, რა სასტიკად ურტყამდნენ, აწამებდნენ დაკავებულ მომიტინგეებს და სასიკვდილოდ გაიმეტეს ხალხი.

ყოფილ ხელისუფალთ იქნებ ავიწყდებათ, თუ რა თქვა მათმა ერთმა ყოფილმა თანაგუნდელმა ოქრუაშვილმა: „როგორ გახდნენ მილიონერები ცალ-ცალი კალოშით მოსულები“. ამიტომ საჭიროა, ვნახოთ მათი ქონებრივი დეკლარაციები შევსებული ხელისუფლებაში მოსვლის დროს და ბოლო პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ ბოლოს შესებული დეკლარაციები სინამდვილესთან ძალიან შორს იქნება, ვნახავთ, თუ რამდენად დიდი განსხვავება არის მათ ქონებრივ მდგომარეობაში. აქვე მინდა ყურადღება გავამახვილო მასზე, რომ ახალ ხელისუფლებაში მოსულებმაც სასწრაფოდ უნდა წარუდგინონ საზოგადოებას თავიანთი ქონებრივი დეკლარაციები, რათა მომავალში ადგილი არ ჰქონდეს ამ მხრივ გაუგებრობას.

საზოგადოების დიდი ნაწილის უკმაყოფილება, უარყოფითი რეაქცია გამოიწვია ქუთაისში ახლადგახსნილ პარლამენტში ნაციონალების, უკვე უმცირესობაში მყოფი დეპუტატების უტიფარმა, უსირცხვილო გამოსვლებმა ჯერ კიდევ დაუმტკიცებელი მთავრობის მიმართ კრიტიკით და პრეტენზიებით. რატომ არაფერი თქვეს იმის შესახებ, ცხრა წელი დაპირებებით როგორ ატყუებდნენ მოსახლეობას, რატომ არაფერი თქვეს იმის შესახებ, რომ არჩევნების მეორე დღესვე თანამდებობის პირებმა ლაჩრულად დატოვეს სამსახური და გაიქცნენ ქვეყნიდან. თუ დანაშაული ჩადენილი არ აქვთ, რატომ?

სააკაშვილმა მსოფლიოში ქვეყნის მართვის ახალი პრეცედენტი შექმნა, შეიძლება, თურმე, პრეზიდენტი ოპოზიციაში ჩაუდგეს საკუთარი ქეყნის მოსახლეობას. ვფიქრობ, სჯობს პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავი დაანებოს ამგვარ ექსპერიმენტებს და გადადგეს.

**სასურველად მიმაჩნია, შეიქმნას სპეციალური საგამოძიებო სამსახური, რომელიც უნდა დაკომპლექტდეს გამოცდილი პატიოსანი პროფესიონალებით. საზოგადოება ელის და მოითხოვს არ დარჩეს დაუსჯელი არც ერთი დამნაშავე, რათა სამაგალითო იყოს მომავალი ხელისუფალთათვის, იცოდნენ, თუ ვინმე დანაშაულს ჩაიდენს, დაუსჯელი არ დარჩება.**

ჩემი აზრით, გამოძიებული უნდა იყოს ე. წ. „ზონდერების“ მიერ ჩადენილი სასტიკი დანაშაულებები, დადგინდეს, თუ ვინ იყო ამ დანაშაულის დამკვეთი. მიეცეთ მათ ოფიციალური წინადადება და, არა მარტო მათ, არამედ ყველას, ვისაც აქვს ჩადენილი დანაშაულები, გამოცხადდნენ, აღიარებინონ დანაშაული. რაც, შემამსუბუქებელი გარემოება იქნება. ასევე საჭიროა იმის გარკვევა, იყო თუ არა კავშირი სააკაშვილის რეჟიმსა და ზოგიერთი ოპოზიციურად წარმოჩენილ პოლიტიკური პარტიის ლიდერებთან. გამოძიებული უნდა იქნას საქართველოს პარლამენტის ძველი შენობის შიდა ნაწლის ბარბაროსული დანგრევა-განადგურება, უნდა გამოირკვეს, თუ ვისი ბრძანებით იქნა ჩადენილი ეს ვანდალიზმი.

საზოგადოებაში მუსირებს აზრი, რომ დიდი ოდენობის ქონება გაედინება ქვეყნიდან, რაც სასწრაფოდ ყველა საშუალებით უნდა აღიკვეთოს. მრავალმა ჩინოსანმა მათი უკანონო, ხშირ შემთხვევაში დანაშაულებრივი საქმიანობის გამო დაკარგა მორალური უფლება გააგრძელოს საქმიანობა, თუ მათ ოდნავ მაინც დარჩათ ღირსების გრძნობა, დაწერონ განცხადებები და დატოვონ დაკავებული თანამდებობები.

სოლიდურია ახალი მთავრობის შემადგენლობა, რომელიც, იმედია, პირნათლად შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. ქვეყანას ამჟამად ღირსეული მთავარი პროკურორი ჰყავს ბატონ არჩილ კბილაშვილის სახით.

პირდაპირ მინდა განვაცხადო, რომ საქართველოში მცხოვრები ყველა მოქალაქის ვალია, გვერდში დაუდგეს ხელისუფლებას. უდიდესი პასუხისმგებლობა და მოვალეობა ეკისრება, პირველ რიგში, იმ პიროვნებებს, რომლებსაც მთავრობის ხელმძღვანელი ენდო, ჩააბარა პასუხსაგები თანამდებობა.

დამაიმედებელია ბატონი ბიძინა ივანიშვილის განცხადება იმის თაობაზე, რომ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ქმედუნარიანი, სამოქალაქო საზოგადოება ჩამოყალიბდებოდა, რომელსაც უნარი ექნება, მუდმივი კონტროლი გაუწიოს ხელისუფლებას, რათა არ განმეორდეს იგივე, რაც დღემდე ხდებოდა. ასევე ახლადარჩეულ დეპუტატებს არ უნდა დაავიწყდეთ ის დაპირებები, რომლებსაც გულუხვად არიგებდნენ, არ უნდა მოხდეს ისე, რომ ამომრჩეველი ვერ ხვდებოდეს მის არჩეულს, მოსახლეობის დიდი ნაწილის აზრია, რომ მიღებულ იქნას კანონი დეპუტატის გამოწვევის შესახებ. უნდა გაუქმდეს კანონი იმუნიტეტის შესახებ, კანონი ყველაზე ერთიანად უნდა ვრცელდებოდეს.

ერთ გარემოებაზე მინდა გავამახვილო ყურადღება: რატომღაც ზოგიერთს ისე ესმის, თითქოს სამოქალაქო საზოგადოება არის მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციები, რაც ძირშივე მცდარია: **სამოქალაქო საზოგადოება არის საზოგადოების თითოეული წევრი, თითოეული ჩვენგანი.**

როგორც უკვე ვთქვი, საზოგადოება ახალი ხელისუფლებისგან უპირობოდ მოითხოვს სააკაშვილის რეჟიმის დროს ჩადენილი ყველა დანაშაულის გამოძიებას, დამნაშავეთა დასჯას. უკანონოდ გამდიდრებულებს უნდა ჩამოერთვათ ქონება, რაც მიითვისეს და პატრონს დაუბრუნდეს. ყურადღება მისაქცევია ერთი გარემოებაც: **გამოჩნდნენ პირები, რომლებმაც შევარდნაძის მმართველობის დროს ხელში ჩაიგდეს დიდძალი ქონება. ახლა ეს პირებიც მოითხოვენ თავის დროზე უკანონოდ მოპოვებულის უკანვე დაბრუნებას. მიმაჩნია, რომ სადავო ქონება ხალხს უნდა დაუბრუნდეს.**

ბუნერივია, მიღწეული გამარჯვება სასიხარულოა, მაგრამ ეიფორიაში არ უნდა ჩავვარდეთ და ნეტარებში არ უნდა ვიყოთ. ყველანი ვხედავთ, თუ რა ხდება: ახალმა ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, მუშაობა ესესაა დაიწყო და უმალ მოყვა მასობრივი გაფიცვები, მასობრივი თვითნებური შეჭრები. მოსახლეობის დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ამას ორგანიზაციას უკეთებენ დამარცხებული რეჟიმის წარმომადგენლები, რომლებიც ასევე მოსახლეობაში ავრცელებენ პროვოკაციულ ხმებს, მათ შორის იმას, რომ ნაციონალური მოძრაობა მალე დაბრუნდება ხელისუფლებაში.

ძველმა ხელისუფლებამ მრავალი საჭირბოროტო საკითხი დატოვა ღიად, მაგრამ მათ შორის, პირველ რიგში, გადასაწყვეტია დასაქმების, კომუნალური გადასახადების, მოსახლეობის მკურნალობის, წამლების ღირებულების პრობლემები. მოსაგვარებელია ბანკების, კერძო საინვესტიციო ჯგუფების საქმიანობა.



დაბოლოს, მინდა ვთქვა, მივცეთ ახალ ხელისუფლებას მუშაობის შესაძლებლობა ხომ უნდა ვნახოთ, როგორ შეასრულებს დანაპირებს.

**თეიმურაზ ონიანი,**
**იურისტი**

**P. S. 2012 წლის 3 ნოემბერს შედგა ყოფილ პროკურორთა, გამომძიებელთა, სხვადასხვა სამართალდამცავ ორგანოდან დათხოვნილ წარმომადგენელთა შეხვედრა. შეიქმნა არარეგისტრირებული კავშირი „იუსტიციის მუშაკები სამართლიანი საქართველოსთვის“, რომელმაც ნდობა და მხარდაჭერა გამოუცხადა ახალ ხელისუფლებას. კავშირმა მზადყოფნა გამოთქვა ხელისუფლების მხრიდან სურვილის არსებობის შემთხვევაში შეისწავლოს მასალები და გამოსაძიებელი საქმეები და მისცეს კვალიფიციური დასკვნა.**

**თ. ო.**

◉ ალიან-ჩალიანი

# 2013 წელს პენსია გაიზრდება



**მომავალი წლისთვის მთავრობა პენსიის ზრდას გეგმავს, თუმცა რამდენი ლარით გაიზრდება პენსია, ამას მინისტრთა კაბინეტი მას შემდეგ დააკონკრეტებს, რაც პარლამენტს 2013 წლის ბიუჯეტის კორექტირებულ ვარიანტს დაუბრუნებს. როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილე დავით ებრალიძე აცხადებს, პენსიის მატება 2013 წლისთვის აუცილებლად მოხდება. მთავრობის გეგმის თანახმად, საარსებო მინიმუმამდე გაიზრდება არა მთლიანი საპენსიო პაკეტი, არამედ მისი ფულადი კომპონენტი, ასევე გაორმაგდება სოციალური დახმარებები და გაიზრდება პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა.**

**მთავრობა გეგმავს, ეტაპობრივად გაზარდოს სამედიცინო დაზღვევის ბენეფიციართა რაოდენობა და საბოლოოდ უზრუნველყოფილი იქნას მოსახლეობის საყოველთაო დაზღვევა.**

**ამასთან, როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილე დავით ებრალიძე აცხადებს, კიდევ უფრო გაიზრდება სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსება, თუმცა სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის სამინისტროს ბიუჯეტიდან დაფინანსების გარდა, დამატებით იქნება მოზიდული კერძო ინვესტიციები და სესხები, რითაც შეიქმნება სოფლის მეურნეობის განვითარების ერთმილიარდიანი ფონდი.**

**2013 წლის ბიუჯეტის პროექტის თანახმად, როგორც ცნობილია, შემცირდა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი, ასევე პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი, შეიცვალა საგადასახადო პოლიტიკა.**

**როგორც დავით ებრალიძე აცხადებს, ამ გზით შესაძლებელი გახდა 740 მილიონი ლარის რესურსის მოძიება. საბიუჯეტო პროექტს საპარლამენტო კომიტეტების უმეტესი ნაწილი განიხილავს.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## კალათბურთი

# შორია ისრაელამდე

**საქართველოს ჩემპიონმა „არმიამ“ ევროჩელენჯის ჯგუფური ეტაპი ისრაელის ქალაქ ჰოლონის „ჰაპოელთან“ 69:84 სტუმრად წაგებით გახსნა. კოტე ტულუშის გუნდი მეორე შეხვედრას 13 ნოემბერს შინ, თბილისის სპორტის სასახლეში ბელგიურ „ანტვერპენთან“ გამართავს, რომელიც პირველ ტურში გერმანულ „ტელეკომთან“ 72:81 დამარცხდა.**



„ჰაპოელთან“ შეხვედრაში „არმია“ პირველივე წუთებიდან ჩამორჩა მოწინააღმდეგეს და მთელი მატჩის განმავლობაში მდევრის როლში იყო. საქართველოს საუკეთესო გუნდმა პირველი მეოთხედი 19:28 დათმო, დიდი შესვენებისთვის 12 ქულით აგებდა, ხოლო მესამე მეოთხედის შემდეგ სხვაობამ 20 ქულას მიაღწია.

„არმიამ“ ბოლო მეოთხედში შეძლო გარკვეულწილად მობილიზება და დაცვაში კარგი თამაშის წყალობით მასპინძელთან ჩამორჩენა შეამცირა, თუმც არა იმდენად, რომ ბოლო წუთებზე მოგებისთვის ბრძოლა მოეხერხებინა.

თავდაცვის სამინისტროს გუნდი მოწინააღმდეგეს თითქმის ყველა სათამაშო კომპონენტში ჩამორჩა. მაგალითად „ჰაპოელმა“ ფარზე ბრძოლაში 43:36 იმარჯვა, მიუხედავად იმისა, რომ „არმია“ გაცილებით ტანმაღალი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული. ამასთან, მასპინძლები გაცილებით მაღალი პროცენტით უტევდნენ კალათს როგორც თამაშიდან, ასევე საჯარიმოს ხაზიდან.

„არმიის“ რიგებში საუკეთესონი იყვნენ ლეგიონერები – კურტის მილეიჯი (20 ქულა, 9 პასი) და ლემეინ უილსონი (15 ქულა, 8 მოხსნა). ამ უკანასკნელმა 12 სამქულიანი ისროლა, აქედან 5 ზუსტად და უკლებლივ ყველა ქულა შორი სროლებით მოაგროვა.

არცთუ შედეგიანები იყვნენ საქართველოს ნაკრების ყოფილი მოთამაშეები – გიორგი გამყრელიძე, დავით უგრეხელიძე და ვლადიმერ ბოისა. უფროსმა ბოისამ 17 წუთი ითამაშა და ერთხელაც არ უსვრია ბურთი, თუმც 7 მოხსნა მოაგროვა და ამ კომპონენტში თავის გუნდში მხოლოდ უილსონს ჩამორჩა.

აღსანიშნავია, რომ კოტე ტულუშმა განაცხადში მყოფი 12-ვე კალათბურთელი ჩართო თამაშში.

**ევროჩელენჯი. „H“ ჯგუფი.**
**7 ნოემბერი. ჰოლონი.**
**„ჰაპოელი“ 84:69 „არმია“**
**(28:19 21:18 23:15 12:17).**

**„ჰაპოელი“:** ჰასელი (22), სმიტი (16), როსენი (13), დისონი (12), ჰილი (7); დანიელი (9), ჰარუში (5), ფარჰი, ჩერნუშევიჩი, ზოჰარი, მოშიაშვილი.

**„არმია“:** მილეიჯი (20), უილსონი (15), გამყრელიძე (7), შელბომი (2), ა.ბოისა; ფარღალავა (8), ჯგერენაია (6), საყვარელიძე (5), წივწივაძე (3), უგრეხელიძე (2), ფეისონი (1), ვ.ბოისა.

**„ანტვერპენი“ – „ტელეკომი“ 72:81.**
**13 ნოემბერს ითამაშებენ:** „არმია“ – „ანტვერპენი“, „ტელეკომი“ – „ჰაპოელი“.

**ვიტალი ჯაფარიძე**

## ფეხბურთი

# ლიგაში გაავდრდა




**ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის II წრის სტარტი გოლების წვიმით აღინიშნა: 8 მატჩში მეტოქეებმა ერთმანეთს 35-ჯერ(!) განაახლებინეს თამაში ცენტრიდან.**

სტატისტიკას რომ თავი დავანებოთ, ოთხშაბათის საღამო „ბარსელონას“ მარცხითაცაა გამოსარჩევი, რომელიც პირველია წლევანდელ გათამაშებაში, თუმცა შოტლანდიური სენსაცია ლეო მესის არასდროს დაავიწყდება, რადგან სწორედ „სელტიკ პარკზე“ შეასრულა პირველი ზუსტი დარტყმა არგენტინელმა მამის ამპლუაში.

**IV ტურის სრული შედეგები.**

**„ე“ ჯგუფი.** „ჩელსი“ – „შახტარი“ 3:2, „იუვენტუსი“ – „ნორდსიელანდი“ 4:0.

„შახტარი“, „ჩელსი“ – 7-7, „იუვენტუსი“ – 6, „ნორდსიელანდი“ – 1 ქულა.

**20 ნოემბერს ითამაშებენ:** „იუვენტუსი“ – „ჩელსი“, „ნორდსიელანდი“ – „შახტარი“.

**„ვ“ ჯგუფი.** „ბაიერნი“ – „ლილი“ 6:1, „ვალენსია“ – ბატე 4:2.

„ბაიერნი“, „ვალენსია“ - 9-9, ბატე – 6, „ლილი“ – 0 ქულა.

**20 ნოემბერს ითამაშებენ:** „ვალენსია“ – „ბაიერნი“, ბატე – „ლილი“.

**„ზ“ ჯგუფი.** „ბარსელონა“ – „სელტიკი“ 2:1, „ბენფიკა“ – „სპარტაკი“ 2:0.

„ბარსელონა“ – 9, „სელტიკი“ – 7, „ბენფიკა“ – 4, „სპარტაკი“ – 3 ქულა.

**20 ნოემბერს ითამაშებენ:** „სპარტაკი“ – „ბარსელონა“, „ბენფიკა“ – „სელტიკი“.

**„თ“ ჯგუფი.** „ბრაგა“ – „მანჩესტერი“ 1:3, „კლუჟი“ – „გალათასარაი“ 1:3.

„მანჩესტერი“ – „12, „გალათასარაი“, „კლუჟი“ – 4-4, „ბრაგა“ – 3 ქულა.

**20 ნოემბერს ითამაშებენ:** „კლუჟი“ – „ბრაგა“, „გალათასარაი“ – „მანჩესტერი“.

**მანუჩარ გიორგაძე**

## ჭიდაობა

# მეზობლებთან მოხვეჭილი რვა ჯილდო



**განჯამ ოცდამეექვსედ უმასპინძლა აზერბაიჯანისა და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის – ისაკ ჯაფაროვის მემორიალს. შეჯიბრებაში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ნაკრებიც მონაწილეობდა.** ჩვენმა ფალავნებმა თითო ოქრო-ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ყველა მეტოქე დაამარცხა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ზვიად მეტრეველი (96 კგ). მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო და მეორე ადგილს დასჯერდა გიორგი კრიჭაშვილი (120). მესამე ადგილებზე მალხაზ ბურჯალიანი (60), გიორგი ლობჟანიძე (66), ილია ხუციშვილი, დიმიტრი ბასილაშვილი (ორივე – 74), ოთარ უროტაძე (84) და მირიან ბურდული (120) გავიდნენ.

**გივი გაგუა**

## სამბო

# ჩოხოსანთა ჯერიც დადგა



**ბელარუსის დედაქალაქში დღეს დაიწყება სამბისტთა 36-ე მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით იასპარეზებს: ნუკრი ბერაია (52 კგ), უშანგი კუზანაშვილი (57), ლევან ქოჩიევი (62), ლევან ნახუცრიშვილი (68), ბესიკ ბერულავა (74), ნიკო კუცია (82), გიორგი ბაინდუროვი (90), ლომერ ჟორჟოლიანი (100) და ნოდარ მეტრეველი (+100). ქალებში ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას შორენა შარაძე (64) და ირინა ლეონიძე (80) დაიცავენ.**

მინსკში უნდა გამოსულიყო მსოფლიოს ჩემპიონი მირიან პავლიაშვილი (100), მაგრამ მან ტრავმა მიიღო და მის ნაცვლად მინსკში ჟორჟოლიანი წაიყვანეს, არადა, ეს პატივი დავით ლორიაშვილს უნდა რგებოდა, რადგან მან საქართველოს ჩემპიონატში (მასში პავლიაშვილსა და ჟორჟოლიანს არ უასპარეზიათ) მოიგო, საკონტროლო შეხვედრისას ორივე კონკურენტს სძლია, მაგრამ მწვრთნელებმა მაინც თამაშგარე მდგომარეობაში დატოვეს. თუ რატომ, ამას ნაკრების მსოფლიო ჩემპიონატიდან დაბრუნების შემდეგ შევიტყობთ, თუმცა აქვე დავძენთ, რომ ლორიაშვილი სხვა დროსაც არაერთხელ დაჩაგრულა ძიუდოსა და სამბოში.

**ლაშა დიდია**

## ჭადრაკი

# ქართული დესანტი მარიბორში



**შვეიცარიული სისტემით 11 ტური გამოავლენს 8-18 წლის მოჭადრაკეთა შორის მსოფლიოს ჩემპიონებსა და პრიზიორებს. შეჯიბრებას სლოვენიური მარიბორი მასპინძლობს.** საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის გია გიორგაძისა და მწვრთნელების – ალექსანდრე არსენიძისა და აკაკი იაშვილის ხელმძღვანელობით ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ: დიანა ლომაია, ნიკოლოზ კაჭარავა (8-წლიანები), ნიკოლოზ პეტრიაშვილი, ლუკა ობოლაძე, თამარ ესაძე (10-წლიანები), ირაკლი ახვლედიანი, ლილე ქორიძე, დავით კამკია (12-წლიანები), ნოე თუთისანი, ნინო დახუნდარიძე, მაია მუმლაძე, გიორგი სიბაშვილი (14-წლიანები), გიგლა ბენიძე, ირაკლი ბერაძე, ნინო ხომერიკი (16-წლიანები), ნიკოლოზ ქუმსიაშვილი, ანა შამათავა და მერი არაბიძე (18-წლიანები).

**ლექსო ცინცაძე**

## სტუდენტური სპორტი

# ისინი ბურთთან მეგობრობენ



**მოახლოვდა სეზონის ფინიში და სტუდენტ სპორტსმენთა შემაჯამებელ ღონისძიებათა რიცხვმაც იმატა.**

**ამ მხრივ, ტრადიციისამებრ, განსაკუთრებით აქტიურობენ მომავალი მედიკოსები, რომლებმაც ამ დღეებში პირველკურსელთა შიდა ტურნირი გამართეს მინი-ფეხბურთში 12 გუნდის მონაწილეობით.**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ეგიდით ორგანიზებული ასპარეზობის ინიციატორი პირველკურსელი ნიკა ყაჭეიშვილი გახლდათ, რომელსაც მხარი თსსუ-ის სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორმა ზაურ ფხალაძემ და ამავე ცენტრის თანამშრომელმა, თსსუ-ის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვახტანგ ბაქანიძემ დაუჭირეს.

რაც შეეხება დასკვნით შეხვედრებს, ისინი ასე დასრულდა.



**ნახევარფინალი.** „თბილისი სითი“ – „მადაგამსკდარი“ 2:2, პენალტებით – 3:0, „ჰადესი“ – „არისტოკრატები“ 4:4, პენალტებით – 5:4.

**ფინალი.** „თბილისი სითი (ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის გუნდი) – „ჰადესი“ (მედიცინის ფაკულტეტის გუნდი) 7:5.

**ტურნირის ნომინანტები გახდნენ:**

**საუკეთესო ფეხბურთელი** – ვახო გულიტაშვილი (ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტი), **საუკეთესო მეკარე** – ლაშა ოსეფაშვილი, **საუკეთესო მცველი** – დავით ზოდელავა, **საუკეთესო თავდამსხმელი** – თემურ ვარდანია, **საუკეთესო ბომბარდირი** – ჯუბა ავალიშვილი (27 გოლი, ყველა მედიცინის ფაკულტეტი), **ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელი** – მირიან ჯიქია (ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტი).

დავძენთ, რომ აღნიშნული ტურნირის გამორჩეული მონაწილენი თსსუ-ის ნაკრების წევრობის კანდიდატთა სიას შეავსებენ.

**გიორგი შოთაძე**

## სკანდალი

# განგაშის ზარები სპორტულ არენებზე

**მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი ველომრბოლის, „ტურ დე ფრანსის“ შვიდგზის გამარჯვებულის ლენს არმსტრონგის დისკვალიფიკაცია და გამარჯვებულის წოდების ჩამორთმევა, როგორც ვარაუდობენ, სპორტული კერპებისთვის ნამდვილი შენელებული მოქმედების ნაღმია.**

ლენს არმსტრონგისთვის გამოტანილი უსასტიკესი განაჩენი გასაჩივრებას არ ექვემდებარება, მისი სახელი დიდების პანთეონის სიიდან სამუდამოდ ამოშალეს, თავად კი ახლა თავის დროზე ჯილდოს სახით მიღებული ათობით მილიონი დოლარის უკან დაბრუნება მოუწევს. ამასთან დაკავშირებით მასმედიაში გაცხარებით ბჭობენ იმის თაობაზე, მოასწრებს თუ არა ამის გაკეთებას არმსტრონგი სიცოცხლის ბოლომდე.

მომხდარის არსი ისაა, რომ ყველა არაკეთილსინდისიერი სპორტსმენი, ვისი მხილებაც სტიმულატორების გამოყენებაში თავის დროზე ვერ მოხერხდა, ახლა გამუდმებით იმის შიშში უნდა იყოს, რომ ადრე თუ გვიან მაინც გამოააშკარავებენ და უკანონოდ მიღებული ჯილდოებისა და პრემიების დაბრუნება მოუწევს. არც თუ დიდი ხნის წინათ, მართალია საკმაო დაგვიანებით, მაგრამ მაინც უმკაცრესად დაისაჯა ყოფილი სუპერსპორტსმენი ქალი მერიონ ჯონსი, რომელიც ისე სწრაფად დარბოდა, თითქოს სხვები ადგილზე იდგნენ, ხოლო სიგრძეზე ისე ხტებოდა, თითქოს მის მოწინააღმდეგეებს მიზიდულობის ძალის დაძლევის თეორიული შანსიც არ ჰქონდათ!

ახლა ჟურნალისტები კითხულობენ: ვინ იქნება შემდეგი? იქნებ ეს უსეინ ბოლტია, რომლის სირბილი, სხვათა შორის, ისეთივე ეფექტს ახდენს, რომელიც, თავის დროზე, მერიონ ჯონსის სირბილსა თუ სიგრძეში ხტომას ახლდა. თუ ეს მცველთათვის მოუხელთებელი ლიონელ მესი იქნება? უწინ მარადონას ხომ ნარკოტიკების მოხმარების გამო იჭერდნენ?!.

ხშირად გვსმენია, რომ სპორტის წინასახეობა ომია, თუმცა კი თემას თუ ჩავუღრმავდებით, გარკვეული თვალსაზრისით ომი სპორტზე გაცილებით პატიოსანი რამაა: ომში ხომ ის იმარჯვებს, ვისაც მოწინააღმდეგესთან შედარებით მთელ რიგ სფეროებში – მატერიალურ უზრუნველყოფაში, ჯარის ოდენობასა და მის გაწვრთნაში, მოკავშირეთა საიმედოობასა და ა. შ. – გარკვეული უპირატესობა აქვს. თანაც ბრძოლის ველზე მიღწეული შედეგის გადასინჯვის არანაირი ვარიანტი არ არსებობს. სპორტში კი ისტორიის დეზავუირება და დევალვირება წლების შემდეგაც კია შესაძლებელი. ამჟამად ვადა (საერთაშორისო ანტიდოპინგური სამსახური) განურჩევლად ყველა სპორტსმენის გაკონტროლებისთვის იბრძვის, რომლებმაც კვალის გაქრობის უამრავი ხერხი მოიგონეს, მაგრამ ექსპერტები სინჯებს აკონსერვებენ და დოპინგის კვალის მიგნების ახალი, გაცილებით მგრძნობიარე მეთოდების შემუშავებას მოთმინებით ელიან.



წაგებულნი კი ამ ომში ჩვენ ვართ, მაყურებლები და ახლა ძნელი წარმოსადგენია თუ რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ამ ორთარძოლაში ჩვენც ჩავერთვებით და სპორტულ ასპარეზებს ზურგს ერთიანად შევაქცევთ... ამ ყველასთვის დამღუპველ გზაზე კი უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები, რაც სპორტის მესვეურთათვისაც, სპორტსმენებისთვისაც და მათი მწვრთნელებისა თუ ექიმებისთვის, განგაშის ზარის ტოლფასი უნდა იყოს.

**ირმა ირემაშვილი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ევრაზიის ინსტიტუტის განცხადება

# საქართველოს ესაჭიროება საბჭოთა ეპოქის ისტორიის მუზეუმი, ნაცვლად ე.წ. „ოკუპაციის მუზეუმისა“

**2006 წლის 26 მაისს თბილისში ე.წ. საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი გაიხსნა. თავად ამ ფაქტით, რომელიც ბალტიისპირელების წაბაძვით მოხდა, ითქვა: „საბჭოთა პერიოდის ისტორიას საქართველოსათვის მხოლოდ უარყოფითი შედეგები აქვს მოტანილი“. მუზეუმის შექმნის ინიციატორებს დაავიწყდათ დღეს უკვე მართლაც სამუზეუმოდ ქცეული რუსთავის მეტალურგიული ქარხნის განთავსება მუზეუმში, თავად ქალაქ რუსთავითურთ, რომელიც სწორედ ოკუპაციის პირობებში აშენდა...** მუზეუმში არ არის ინფორმაცია არც თბილისის მეტროპოლიტენზე, წიფის გვირაბზე, ჰიდრო- და ელექტროსადგურებზე, ვირტუოზულ ქართულ ფოლკლორულ ანსამბლებზე, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებზე, ქართული მეცნიერების, კულტურის და სპორტის მიერ დაპყრობილ მწვერვალებზე — ყოველივე ეს საბჭოთა ოკუპაციის პირობებში აშენდა, დაინერგა და განვითარდა სახელმწიფო მზრუნველობით... არ არის განთავსებული სტატისტიკა იმის შესახებ, თუ რა შემოსავალი ჰქონდა რიგით მშრომელ ქართველს ოკუპაციის პირობებში და რა შემოსავალი აქვს დღეს. მინიშნებაც არაა იმაზე, რომ საბჭოთა ოკუპაციის პირობებში ქართველი მათხოვარი ქუჩაში არავის ახსოვს და არც ქართველი მანდილოსნები ვაჭრობდნენ საკუთარი სხეულით თურქეთის ქალაქებში.



მუზეუმში განგებ არის შექმნილი დამთრგუნველი ატმოსფერო, ვიზუალური ეფექტები, რომლებიც თითქმის სამგლოვიარო განწყობას ქმნიან და ამით დარტყმას აყენებენ დამთვალიერებლის ფსიქიკას. შემთხვევითი არ არის, რომ 2009 წლის 7 აგვისტოს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე, ღია ცის ქვეშ, მოხდა კიდევ ერთი „ოკუპაციის მუზეუმის“ პრეზენტაცია — ამჯერად უკვე არა საბჭოთა, არამედ თანამედროვე რუსულის... თუმცა პრობლემის არსი ამ მუზეუმებში არ არის, პრობლემის არსი არის ის, რომ მტრის ხატი მეზობელი რუსეთისაგან საქართველოში სააკაშვილის რეჟიმის მიერ არაერთი წლის მანძილზე ინერგებოდა და მიზანმიმართულად ძლიერდებოდა. „ოკუპაციის მუზეუმიც“ მოწოდებულია, რომ მისი დამთვალიერებლები სიძულვილით განიმსჭვალონ საბჭოთა წარსულისა და საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრის — რუსეთის მიმართ. „ოკუპაციის მუზეუმი“ რეჟიმის ერთ-ერთი ინსტრუმენტთაგანია თანამედროვე რუსული სახელმწიფოსგან მუდმივი მტრის ხატის ჩამოსაყალიბებლად. დღეს კი უკვე საიდუმლოს აღარ წარმოადგენს, რომ მტრის ასეთი ხატი რეჟიმს პირველ რიგში, ქვეყნის შიგნით „გამყიდველების“, „აგენტების“ და „ჯაშუშების“ მოსაძებნად სჭირდებოდა, რითაც იხსნებოდა სივრცე, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ რეპრესიული ქმედებების განსახორციელებლად.

ქართველი ხალხი იმაზე უკეთ ერკვევა ისტორიაში, ვიდრე ეს აწ უკვე დასრულებული რეჟიმის წარმომადგენლებს წარმოედგინათ, და საქართველოში ცოტა ვინმე თუ ინტერესდება ე.წ. ოკუპაციის მუზეუმით, რომელშიც თითქმის არასოდეს არიან დამთვალიერებლები — ტურისტებიც ასევე ნაკლებად ინტერესდებიან უნიჭო პროპაგანდით. თუმცა ეგრეთ წოდებული მუზეუმის არსებობის გაგრძელების მავნეობა ერთმნიშვნელოვანია: პირველ ყოვლისა, ფუჭად იხარჯება ქართველი გადასახადის გადამხდელების ფული; მეორე, ტენდენციური მუზეუმის არსებობის ფაქტმა, როგორც ასეთმა, შეიძლება, ნეგატიურად იმოქმედოს რუსეთთან კავშირების აღდგენის პროცესზე; მესამე და მთავარი: ქართველთა მზარდ თაობებს აქვთ უფლება ისტორიული ჭეშმარიტების ცოდნაზე, არ შეიძლება, რომ მათ თავს მოახვიონ იდეოლოგიზებული ისტორია.

ამიტომ, აუცილებლად მიგვაჩნია, პროპაგანდისტული „ოკუპაციის მუზეუმის“ ბაზაზე შეიქმნას ნამდვილი ისტორიული მუზეუმი, რომელიც მოიცავს საქართველოს ისტორიის საბჭოთა პერიოდს — როგორც უარყოფითი, ისე ყველა მისი დადებითი გამოვლინებით. ჩვენ მივმართავთ საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას, უახლოეს დროში განიხილოს ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი.

**გულბაათ რცხილაძე,**
**ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პოლიტიკის მეცნიერებათა კანდიდატი;**
**ლევან მეტრეველი,**
**ევრაზიის ინსტიტუტის სოციოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;**
**კონსტანტინე ჩიკვილაძე,**
**ევრაზიის ინსტიტუტის საზოგადოებასთან კავშირების მენეჯერი.**

## ხსოვნა

### გამოთხოვება დევი ბერძენიშვილთან



ბატონი დევი დაარსების დღიდანვე მხარში ედგა ერეკლე მეორის საზოგადოების ახალგაზრდა მხარდამჭერებს და თავისი სიდინჯითა და გონიერებით თავის კვალს აჩენდა ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობას.

მეტად ძნელია წარსულ დროში მოიხსენიო ადამიანი, რომელიც სულ რამდენიმე დღის წინ ჩვენთან იყო და გამორჩეული ღირსებით ატარებდა მართალი კაცის სახელს — მართალი ჟურნალისტი იყო, მართალი მოქალაქე და ულალატო მეგობარი; უხვსიტყვაობა არ უყვარდა, მაგრამ თხემით ტერფამდე სიკეთით სავსეს არასოდეს განელებია სხვათა თანადგომის უნარი.

მძიმეა ასეთ ადამიანთან გამოთხოვება, მაგრამ მისი დავიწყება შეუძლებელია.

ძვირფასო ბატონო დევი, მადლობას გიხდით თქვენი ამქვეყნიური ცხოვრებისთვის და მწუხარებით გაცილებთ მარადიული სასუფევლისკენ მიმავალ გზაზე.

ერეკლე მეორის საზოგადოების სახელით

**არჩილ ჭყოიძე, თემურ თვალიაშვილი, მაია ხინჩაგაშვილი, ნანა ჯაფარიძე, მანანა ტურაშვილი, სოლომონ ხოდელი, გიორგი ყუშიტაშვილი.**

**ზურაბ წილოსანის ოჯახი მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 7 ნოემბერს ამერიკაში გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, დოქტორი, პროფესორი**

**ანატოლი ფილინი**

**და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: ვარ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. დანიშნული მაქვს სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია. ივნისში ვხდები 65 წლის, მინდა დავინიშნო 36 წლის სტაჟით კუთვნილი ასაკის პენსიაც — თვეში 110 ლარი. ხომ მაქვს ამის უფლება?**

**ოთარ სოფრომაძე**

**პასუხი:** სამწუხაროდ, არ გაქვთ, ვინაიდან მოქმედი კანონის შესაბამისად, როცა პიროვნებას ერთდროულად აქვს სახელმწიფო პენსიისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება, ენიშნება ერთ—ერთი, რომელიც მისთვის უფრო სასურველია. ერთდროულად 2 სახის სახელმწიფო სარგებლის მიღება კანონით დაუშვებელია.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 299-62-77.**

## დედაქალაქი

# „დეზერტირების ბაზრის“ ახალი სიცოცხლე





**თბილისის ცენტრში აგრარული ბაზრების საკითხი მოსაგვარებელი რომ იყო, ამის თაობაზე ჩვენი გაზეთი ცოტა ხნის წინათაც წერდა.**

მაშინ, კერძოდ, ყურადღება იმ მეტად საგანგაშო ვითარებაზე გამახვილდა, რომ დედაქალაქის შუაგულში ორი ახალი ბაზრის აშენების შემდეგაც კი (მათგან ერთი, ცნობილი „დეზერტირების ბაზარია“, მეორე — ნინოშვილის ქუჩაზე, ყოფილი 35-ე სპორტული სკოლის ტერიტორიაზე), უამრავი მოვაჭრე მაინც ქუჩაში გამართულ სახელდახელო დახლებიდან ვაჭრობას საშინელ ანტისანიტარიულ პირობებში განაგრძობდა. თავისთავად ეს გარემოება კი იყო მეტად აღმაშფოთებელი, მაგრამ მას კიდევ უფრო მეტად აძლიერებდა ისიც, რომ როგორც ორივე ბაზრის ხელმძღვანელობამ ჩვენთან პრივატიულ საუბარში არაერთხელ აღნიშნა, ახალ წლამდე მოვაჭრეებს ბაზრის ტერიტორიაზე სავაჭრო ადგილებში ფულს არ გადაახდევინებენ.





და აი, ორიოდე დღის წინათ ამ პრობლემის გადაჭრას საშველი დაადგა: როგორც იქნა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ ამ ტერიტორიაზე ვაჭრობა კანონის მოთხოვნათა შესაბამისობაში მოყვანა დაიწყო. წინამძღვრიშვილის ქუჩის მხრიდან გარემოვაჭრეებს პოლიციის თანამშრომლები ბაზრის გარეთ ვაჭრობის ნებას აღარ რთავენ, გაძლიერებულია პოლიციელთა განწესები თევდორე მღვდლის ქუჩაზეც, სადაც ამის გარდა სავაჭრო ფართების სამშენებლო სამუშაოები კვლავ გრძელდება.

ასევე საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ „დეზერტირების ბაზრის“ ავტომანქანების სადგომზე პირადი ტრანსპორტის გაჩერება ისევე, როგორც ბაზრის ტერიტორიაზე ვაჭრობა და საქონლის დროებით შენახვა, ახალ წლამდე უფასო იქნება, რის შესახებ სათანადო განცხადება გვამცნობს.

**თამარ გოგიაშვილი**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## დაიჯესტი

### კიდევ ერთი მოწამვლა?



**პალესტინის განსვენებული ლიდერის იასირ არაფატის ნეშთის ესგუმაციას შვეიცარიელი სპეციალისტები ჩაატარებენ.**

განკარგულება ამის თაობაზე პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის თავმჯდომარემ მაჰმუდ აბასმა გასცა. გამოკვლევის ჩატარება მას შემდეგ გადაწყდა, რაც ყატარის ტელეარხმა „ალ-ჯაზირამ“ განაცხადა იმის შესახებ, რომ იასირ არაფატის პირად ნივთებში რადიოაქტიური ნივთიერება პოლონიუმ-20 აღმოაჩინეს, რომელთანაც ბოლო დროს მსოფლიოში რამდენიმე გახმაურებული მკვლელობაა დაკავშირებული.

### დიდ ხანს იცოცხლეთ!



**მსოფლიოში არცთუ ბევრი ადგილია, სადაც სიცოცხლის ხანგრძლივობა სტატისტიკურს აჭარბებს. განსაკუთრებით კი ეს დიდ ქალაქებს ეხება.**

ახლახან აღმოჩნდა, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებლით ბოლო მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე იაპონიამ პირველმა ჰონკონგს დაუთმო. ამჟამად ჰონკოგელი ქალბატონები საშუალოდ 86,7 წელს ცოცხლობენ, მამაკაცები — 80,5 წელს. მეორე ადგილზე არიან შვეიცარიელები, მესამეზე — ისლანდიელები. იაპონიაში სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებლის შემცირების მიზეზად 2011 წლის მიწისძვრას, ასევე ახალგაზრდა იაპონელ ქალებში თვითმკვლელობათა გაზრდილ მაჩვენებელს ასახელებენ.

### მაინც ვისგან უმჯობესია ბავშვის გაჩენა?

**ექიმები ყოველთვის ამტკიცებდნენ, რომ ბავშვის გაჩენა უმჯობესია ახალგაზრდა მამაკაცისგან — მაშინ, თითქოს, იმის უფრო მეტი შანსია, რომ ბავშვი ჯანმრთელი დაიბადება. ახლა კი დასავლელი მედიკოსები ირწმუნებიან, რომ ბავშვის ჩასახვა უმჯობესია ასაკოვანი კაცისგან...**

საქმე ისაა, რომ ამერიკელმა ექიმებმა გამოკვლევა ჩაატარეს და ერთობ საგულისხმო დასკვნა გამოიტანეს: თურმე ასაკოვანი მამაკაცებისგან ჩასახული შვილები სიცოცხლის მეტი ხანგრძლივობით გამოირჩევიან. საქმე ისაა, რომ რაც უფრო ასაკოვანია მამა, მით უფრო გრძელი აქვს მის შთამომავლობას დნკ-ს გარკვეული უბნები, რომლებსაც ტელომერები ეწოდება. ორგანიზმის დაბერება კი პირდაპირ კავშირშია ტელომერთა სიგრძესთან.



ამასთან, ბევრი მედიკოსი ამ დასკვნას არ ეთანხმება და მიაჩნია, რომ ასეთი კატეგორიული მტკიცება ერთი გამოკვლევის საფუძველზე არ შეიძლება. ბავშვის ჯანმრთელობას, პირველ ყოვლისა, დედის ჯანმრთელობის მდგომარეობით და მისი ასაკით განისაზღვრება (ორმოც წელს გადაცილებულ ქალებში ასაკის მატებასთან ერთად ჯანმრთელობის გადახრებით ბავშვების დაბადების ალბათობა იზრდება) და მამის ასაკთან თითქმის არავითარი კავშირი არ არის.

### იძებნება... ჯოკერი



**სამხრეთ ჩინეთის ქალაქ გუანჯოუს პოლიციამ სათამაშო ბანქოს დასტები გამოუშვა, რომლებზეც... ძებნილ დამნაშავეთა ფოტოებია დაბეჭდილი.**

**ამ დასტებს პოლიცია უფასოდ არიგებს. ბანქოს ყოველ ქაღალდს ძებნილი დამნაშავის ფოტო „ამშვენებს“, გვერდით კი მითითებულია მისი ასაკი, ჩადენილი დანაშაული და მის თაობაზე ცნობების მიწოდებისთვის დაწესებული გასამრჯელო.**

დასტაში წითელ ჯოკერად ყოფნის „პატივი“ ვინმე შან შაოძეს, ერთ-ერთ ყველაზე თავზე ხელაღებულ მძარცველსა და მკვლელს ერგო, რომლის თავი 300 ათას იუნად (47 ათას დოლარადაა) შეფასებული.

აღნიშნული წამოწყების ინიციატორები ამერიკელები არიან, რომლებმაც ერაყში თავიანთ სამხედრო მოსამსახურეებს იქაური ძებნილი დამნაშავეების ფოტოებიანი ბანქოს ქაღალდები დაურიგეს. ყვავის კიკო ამ დასტაში სადამ ჰუსეინი იყო.

ჩინეთში ეს მეთოდი პირველად 2005 წელს პროვინცია ხენანში გამოიყენეს. ხელისუფლება, ჩინელთა აზარტული თამაშების მიმართ დიდ სიყვარულზე დაყრდნობით იმედოვნებს, რომ მსგავსი ექსპერიმენტები კარგ შედეგს გამოიღებს.

### მაშ, ჩვენ შორის რა განსხვავებაა?



**ნიუ-იორკის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ცხვრების მჯდომარე წესი სულაც არ არის გასუქების მიზეზი.**

ტანზანიაში მცხოვრები ხალხის ხაძას ცხოვრების წესის შესწავლისას, რომლებიც პირველყოფილი წყობილებით ცხოვრობენ, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მონადირეები, რომლებიც ნადავლის დევნაში დიდ მანძილებს გადიან, ყოველდღიურად იმდენივე კალორიას წვავენ, რამდენსაც ოფისების თანამშრომლები.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



### როდემდე გაგრძელდება „ნაციონალების“ ბოიკოტი პარლამენტში და რას აპირებს „ქართული ოცნება“?!

7 ოქტომბერს საპარლამენტო უმრავლესობამ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ლევან ბეჟუაშვილის კანდიდატურა ჩააგდო, რამაც უმცირესობის აღშფოთება გამოიწვია და მათ პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვეს. როგორც დავით დარჩიაშვილი ამბობს, გვექნება ურთიერთობა მედიის წარმომადგენლებთან და უცხოეთის ქვეყნების საელჩოებთან... მანანა კობახიძეს კი მიაჩნია, უმცირესობას საერთოდ ეზარება მუშაობა, სულ ცდილობენ რომ როგორმე დაიძვრინონ თავი... ახლაც მოძებნეს მიზეზი...

**„ალია“**

### მეორე ბაჩო ახალაია დაიბადა

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილ უფროსს დათა ახალაიას და მის მეუღლეს, ანი ბენიძეს ვაჟი შეეძინათ. ახალშობილს ბიძის, ბაჩო ახალაიას პატივსაცემად, ბაჩო დაარქვეს.

ოჯახის ახლობლების ინფორმაციით, ბავშვისთვის ბაჩოს დარქმევა ოჯახს დიდი ხნის წინათ ჰქონდა გადაწყვეტილი.

დათა ახალაიამ და ანი ბენიძემ 2012 წლის ივნისში იქორწინეს. ბაჩო მათი პირველი შვილია.

**„ახალი თაობა“**

### არის თუ არა კალანდაძე გმირი

გუშინწინ მთელი დღის განმავლობაში საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ პროკურატურამ 2008 წლის ომის გმირი გიორგი კალანდაძე დააკავა და ეს ქვეყნის იმიჯისთვის საზიანოა. კალანდაძის შესახებ ილაპარაკა ქვეყნის პრეზიდენტმაც.

ახლა მოვუსმინოთ სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალ „არსენალის“ მთავარ რედაქტორს ირაკლი ალადაშვილს:

„2008 წლის ომში კალანდაძის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფმა მე-4 ბრიგადამ პირად შემადგენლობაში ყველაზე დიდი დანაკლისი განიცადა. ამ ბრიგადამ ომში დაკარგა, ყველა, 26-ე ტანკი, მთელი არტილერია და აქვე ქვეითთა ყველა საბრძოლო მანქანა, ერეკლე ყრუაშვილიც იქ დაიღუპა, ყველაზე მეტი მე-4 ბრიგადიდან დაიღუპა და მიმაჩნია, რომ ეს სპეციალური ჯგუფის გამოსაძიებელია. საპარლამენტო ჯგუფმა ეს თემა ობიექტურად არ გამოიძია. ობიექტური გამოძიების შემდეგ გამოჩნდება, ვინ არის გმირი და ვინ — არა.

**„რეზონანსი“**

**იყიდება ბინა სასწრაფოდ!**

**ქალაქის ცენტრში, ოპერის უკან,** თაბუკაშვილის 32-ში სასწრაფოდ და ძალიან იაფად იყიდება **4-ოთახიანი,** 100 კვ.მ. მაღალჭერიანი ბინა, დაშენების პერსპექტივით. საწყისი ფასი 70 ათასი დოლარი. **დარეკეთ საღამოს — 247-57-79.**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.

*„საქართველოს რესპუბლიკაში“*

**299-62-77; 599 32-85-76.**

## კადრი



## ანეკდოტები

**ოჯახურ ცხოვრებაში ყველაფერი ბუღალტერიას ჰგავს, ოღონდ ცოლს უფრო მეტად ანგარიშები აინტერესებს, ქმარს კი — აქტები.**

* * *

**ავტოინსპექტორი მანქანას აჩერებს:**



**— ნიშანი „40“ არ დაგინახავთ?**

**— ვნახე.**

**— მაშინ რატომ მიგყავდათ მანქანა 100 დოლარით უფრო ჩქარა?**

**— რით განსხვავდება დაოჯახებული მამაკაცის ცხოვრება დაუქორწინებელი მამაკაცის ცხოვრებისგან?**

**— დაოჯახებულ მამაკაცებს ძაღლური ცხოვრება აქვთ: მათ ყოველდღე აჭმევენ და ხალხთან თუ გამოუშვებენ გარეთ გასასეირნებლად. დაუქორწინებელი მამაკაცები კი კატის ცხოვრებით ცხოვრობენ: ყოველდღე გარეთ სეირნობენ და ხანდახან თუ შეუშვებენ სახლში საჭმელად.**

* * *

**გაზეთებიდან: „ივანოვოში სექსუალური მანიაკი გამოჩნდა“.**

**როგორც იქნა, გვეღირსა!**

**ავტორთა საყურადღებოდ!**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com